ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 190 (9350)

სამშაბათი 12 აგვისტო 1952 წ.

ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘᲐ

ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ — «ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ» 11/VIII ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲘ (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘ (1-ᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ — ᲐᲫᲐᲛᲐᲦᲚᲝᲗᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ, ᲣᲙᲘᲗ ᲕᲣᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲗᲗ ᲤᲐᲠᲛᲝᲒᲔᲑᲐᲡ (მე-2 გვერდი).

ᲕᲐᲨᲔᲜᲝᲗ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ, ᲘᲐᲤᲐᲓ, ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲜᲐᲓ (მე-2 გვერდი).

ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲡᲣᲮᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ (მე-2 გვერდი).

Ი. ᲖᲕᲘᲐᲒᲘᲜᲘ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ (მე-3 და მე-4 გვერდი).

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ (მე-3 გვერდი).

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲘ (მე-3 და მე-4 გვერდი).

ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ

ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში ამჟამად მიმდინარეობს ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები. პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების შემდეგ ბევრ ადგილას გაიმართა რაიონული და საქალაქო პარტიული კონფერენციები. უახლოეს დროში კონფერენციები მოეწყობა ყველა რაიონსა და ქალაქში.

ვითარებას, რომელშიც კონფერენციები მიმდინარეობს, ახასიათებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალი დიდი წარმატებანი, მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი აღმავლობა. მრეწველობაში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება 1952 წლის სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ხოფლის მეურნეობაში მთელი ძალები ირაზმებიან მოსავლის სანიმუშოდ აღებისა და პურის დამზადების გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

კონფერენციები ცხადყოფენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების გაზრდილ როლს სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, პარტიული მასების უმაგალითო პოლიტიკურ აქტივობას, მათს დარაზმულობას პარტიის ცენტრალური კომიტეტის, დიდი სტალინის გარშემო.

კონფერენციების მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონით მკაფიოდ ახასიათებს შედეგები პარტიის დიდი მუშაობისა თავისი ადგილობრივი ორგანოზაციების განსამტკიცებლად, პარტიული რიგების მარქსისტულ-ლენინური მომზადების ახამაღლებლად. პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის მხვლელობაში, მოწინავე თეორიის შესწავლის პროცესში ფართო პარტიულმა მასებმა შეიძინეს დიდი პრაქტიკული გამოცდილება, პოლიტიკური ხიმწიფე, იდეური წრთობა.

მაგრამ ბოლშევიკებს არ სჩვევიათ მიღწეულით დაკმაყოფილება, განცხრომა. ყოველ მოღწევას, რა დიდიც უნდა იყოს იგი, ახლნი განიხილავენ მომავლის ამოცანების ოვალსაზრისით. ჩვენი შემდგომი წინსვლა დიდად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დროზე გამოვააშკარავებთ და აღმოვფხვრით მუშაობის ნაკლოვანებებს.

„თუ ჩვენ აშკარად და პატიოსნად არ აღვნიშნავთ და არ გამოვაშკარავებთ, როგორც ეს შეეფერება ბოლშევიკებს, ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებსა და შეცდომებს, —გვასწავლის ამხანაგი სტალინი, —ამით ჩვენ დავიხშობთ წინსვლის გზას. ჩვენ კი გვსურს წინ ვიაროთ. და სწორედ იმიტომ, რომ გვსურს წინ ვიაროთ, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა დავიხსნათ პატიოსანი და რევოლუციური თვითკრიტიკა“.

ბოლშევიკური მომთხოვნელობა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელობა, ფართოდ გაჩაღებული კრიტიკა და თვითკრიტიკა, მუშაობის პლუსებისა და მინუსების ხალი გათვალისწინება, ახალ წარმატებათა მოპოვებისაკენ მიმწოფება— ასეთია ახლანდელი პარტიული კონფერენციების დამახასიათებელი თავისებურება. კონფერენციის მონაწილენი ყოველმხრივ უკეთებენ ანალიზს პარტიული ორგანოების მუშაობას, სახავენ პარტიული მუშაობის გაუმჯობესების გზებს.

კონფერენციების ყურადღების ცენტრშია პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორი შეხამების, პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის ყოველი ღონისძიებით გაძლიერების, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესების საკითხები. როგორ ასრულებს პარტიული კომიტეტი პარტიისა და მთავრობის დირექტივებსა და მითითებებს, როგორ წარმართავს იგი საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას, როგორ არის დაკავშირებული პარტიულ მასებთან, მშრომელებთან, როგორ მუშაობს კადრებთან, როგორ უჭერს მხარს კრიტიკას ქვემოდან, როგორ აწყობს გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას —აი ის საკითხები, რომლებსაც ფართოდ განიხილავენ კონფერენციებზე.

ბევრი პარტიული ორგანიზაცია, პარტიულ-პოლიტიკური საკითხებისადმი ყურადღების გაძახვილებასთან ერთად, დაუცხრომლად აუმჯობესებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე თავისი მუშაობის სტილსა და მეთოდებს. მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანო დღემდე ვერ დაუფლებია ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ხელოვნებას და ხერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები აქვს მუშაობაში.

ქალაქ სვერდლოვსკის ოქტომბრის რაიონის პარტიული კონფერენციის დელეგატები სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ რაიკომს ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ აღმოუფხვრია ცალმხრივი გატაცება სამეურნეო საკითხებით, საკმაო ყურადღებას არ აქცევს კადრების აღზრდას, ხშირად არ ერევა იდეოლოგიურ დაწესებულებათა მუშაობაში. რაიკომის მუშაკები ხანგრძლივი დროის განმავლობაში შემრიგებლურად ეპყრობოდნენ მთელ რიგ ხაწარმოებში სახელმწიფო დისციპლინის უხეშ დარღვევებს. ზოგადა რა ცალკეული მუშაკების თავმოყვარეობას, რაიკომი დროზე არ უხწორებდა მათ შეცდომებს და ამით ზიანს აყენებდა საქმეს.

კადრების ბოლშევიკური აღზრდის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, მინდობილი საქმისათვის მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა შესრულების კარგად მოწყობილი შემოწმება. სამწუხაროდ, ზოგიერთი პარტიული ორგანო ჯეროვან მნიშვნელობას არ ანიჭებს შესრულების შემოწმებას. მაგალითად, კურსკის ოლქის პრისტენსკის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე აღინიშნა, რომ პარტიის რაიკომი, რომელმაც მოისმინა ცამეტი პარტიული ორგანიზაციის ანგარიშები, არ დაინტერესდა იმით, თუ როგორ სრულდება მისი გადაწყვეტილებანი, არ დაეხმარა პარტორგანიზაციების მდივნებსა და კომუნისტებს აღმოეფხვრათ მხილებული ნაკლოვანებანი. იგივე რაიკომი არღვევდა პარტიულ მუშაობაში კოლეგიალობის პრინციპს, რეგულარულად არ იწვევდა პლენუმებს, ურიგდებოდა სახოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევას.

კონფერენცია პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა. იგი წყვეტს იმ საკითხს, თუ როგორ შეფასდეს ამა თუ იმ პარტიული ორგანოს, პარტიული ხელმძღვანელის მუშაობა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ცალკეულ მუშაკებს, რომლებმაც ვერ გაამართლეს პარტიული მასების ნდობა, კონფერენციები ხსნიან ხელმძღვანელი პარტიული პოსტებიდან, მაგალითად, ჩერკასკის საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ საქალაქო კომიტეტის შემადგენლობაში არ აირჩია მისი უფროსი მდივნები ამხ. ჩერნიკოვი და კოსენკო, რომლებსაც ნაკლები ურთიერთობა ჰქონდათ კომუნისტებთან და უპარტიოებთან, ზოგჯერ ახშობდნენ ქვემოდან მომდინარე კრიტიკას.

საკითხების განხილვის მიმდინარეობა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის დონე ბევრად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოემზადება პარტიული კომიტეტი კონფერენციისათვის. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა იმას, რომ პარტიული კომიტეტების საანგარიშო მოხსენებანი შინაარსიანი და მწვავე იყოს, რომ ახინი იძლეოდნენ რაიონის, ქალაქის საქმეების მდგომარეობის ღრმა ანალიზს, წარმატებებთან ერთად გვიჩვენებდნენ ნაკლოვანებებს და მათ წარმომშობ მიზეზებს, რომ ახინი ნათლად განსაზღვრავდნენ პარტიული ორგანიზაციის მორიგ ამოცანებს.

რაიონული და საქალაქო პარტიული კონფერენციები მიმდინარეობს შინაპარტიული დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარების ნიშნით, კომუნისტთა გაზრდილი აქტივობის ნიშნით. ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ „დემოკრატია გვესმის როგორც პარტიული მასების თავისუფლება — გადაწყვიტონ ჩვენი მშენებლობის საკითხები, გვესმის როგორც პარტიული მასების აქტივობის აღმავლობა, მათი ჩაბმა პარტიის ხელმძღვანელობის საქმეში, მათში იმ გრძნობის განვითარება, რომ ისინი არიან ბატონ-პატრონნი პარტიაში...“ შინაპარტიული დემოკრატიის მტკიცედ დაცვის საფუძველზე კონფერენციები პარტიულ კომიტეტებში ირჩევენ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც უნარი შეხწევთ ნამდვილად განაზორციელონ პარტიის პოლიტიკური გეზი, დაიცვან იგი, იბრძოლონ მისთვის.

პარტიული კონფერენციების მთელი მუშაობა გამსჭვალული უნდა იყოს ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთებით. პარტიული ორგანოები მოვალენი არიან ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი ქვემოდან მომდინარე კრიტიკას. მუდამ უნდა გვახსოვდეს ამხანაგ სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ კრიტიკის დევნა ნიშნავს ჩაახშო პარტიული ორგანიზაციის ყოველგვარი თვითმოქმედება, ძირი გამოუთხარო ხელმძღვანელობის ავტორიტეტს პარტიულ მასებში, დაამკვიდრო პარტიის ცხოვრებაში ბიუროკრატების, პარტიის უბოროტესი მტრების ანტიპარტიული ზნეჩვეულებანი.

პარტიული კონფერენციების ტრიბუნიდან კომუნისტები გამოთქვამენ მრავალ ძვირფას წინადადებას და პრაქტიკულ შენიშვნას პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე. პარტიული კომიტეტების ამოცანაა გაითვალისწინონ და განაზოგადონ ძვირფასი წინადადებები და შენიშვნები, მოაწყონ კონტროლი მათი შესრულებისადმი და ამ საფუძველზე აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი, უზრუნველყონ მთელი თავიანთი მუშაობის გაუმჯობესება.

კონფერენცია დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. იგი წარმოადგენს პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, კომუნიზმის მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად პარტიული მასების მობილიზაციის მძლავრ საშუალებას.

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ 11/VIII ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ

ᲓᲝᲜᲑᲐᲡᲘ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲫᲛᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲗᲐ ᲛᲔᲨᲐᲮᲛᲔᲑᲡ

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲝ, 7 აგვისტო. (საკდესი). ძმური მეგობრობა აკავშირებს დონბასს ქვანახშირის ახალგაზრდა აუზების მაღაროელებთან. დონეცის შახტებში პრაქტიკულ სწავლას გადიოდნენ ამიერკავკასიის პირველი შახტების მშენებლები. აქ იძენდნენ ციკლური მუშაობის გამოცდილებას ყარაგანდის მაღაროელები. ესტონეთის სსრ ფიქალის დამუშავებაზე შრომობს ბევრი ინჟინერი და ტექნიკოსი, რომლებმაც განათლება დონბასის სასწავლებლებში მიიღეს.

სტალინოს ოლქის მანქანათმშენებლები ჩვენი ქვეყნის მაღაროელებს უგზავნიან პირველხარისხოვან მოწყობილობას შახტებში შრომის მექანიზაციისათვის. გორლოვკის კიროვის სახელობის ქარხანამ საქართველოს მაღაროელებს გაუგზავნა ბევრი საყელავი მანქანა და კომბაინი, მძლავრი ვენტილატორები და უახლესი კონსტრუქციის საშახტე ბორბლები. პირველი სამთო კომბაინები დამზადდა წელს ესტონეთის ფიქალის წარმოებისათვის. ტორეცის ვოროშილოვის სახელობის ქარხნიდან იქვე გაიგზავნა სათბობის გადასაზიდავი ასობით ვაგონეტი და მძლავრი აკუმულატორებისა და სატროლეო ელმავლების პარტია.

ურალის ქვანახშირის ერთ-ერთ დიდ ჭრილში ამჟამად ცდიან იასინოვატაიას ქარხნის მიერ აგებულ რთულ ჰიდროსატრანსპორტო დანადგარს. იგი განკუთვნილია ფუჭი ქანების ტრანსპორტირებისათვის ღია კარიერებიდან ნაყარში. წელს ქარხანა შეუდგება ასეთ დანადგართა სერიულ გამოშვებას.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲘ

ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

თოთხმეტი ზღვა საზღვრავს საბჭოთა ქვეყანას. სსრ კავშირის საზღვრების ორ მესამედზე მეტი საზღვაოა. ჩვენი ქვეყანა ნამდვილი დიდი საზღვაო სახელმწიფოა. ხალხს უყვარს და ამაყობს ფლოტით, რომელმაც რუსეთის საზღვაო დიდების წიგნში ცოტა გმირული ფურცელი როდი ჩაწერა.

მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის მწვანე თეატრში 9 აგვისტოს გაიმართა სამხედრო-საზღვაო სამინისტროს საზეიმო სხდომა მოსკოვის პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი.

თეატრის სადღესასწაულოდ მორთულ დარაზში შეიკრიბნენ მოსკოვის საწარმოთა სტახანოველები, ჯარისკაცები, მატროსები, ოფიცრები, გენერლები, ადმირალები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები. შეკრებილთა თვალი მიპყრობილია სცენისადმი, სადაც დროშებია საბჭოთა ქვეყნის მძლავრი სამხედრო-საზღვაო ძალების შემქმნელის გენერალისიმუს ი. ბ. სტალინის დიდი პორტრეტი. შუქტრანსპარანტებზე აღბეჭდილია სიტყვები: „დიდება დიდ სტალინს!“.

სამხედრო-საზღვაო ალმებთან საპატიო ყარაული დგას.

საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

ადმირალი ს. ე. ზახაროვი მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს სამხედრო-საზღვაო მინისტრს ვიცე-ადმირალ ნ. გ. კუზნეცოვს.

საბჭოთა ხალხი, თქვა მან, სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს აღნიშნავს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის უდიდეს გამარჯვებათა ვითარებაში.

მომხსენებელმა ილაპარაკა ჩვენი ქვეყნის ფლოტის სახელოვან ისტორიაზე, გმირობასა და მამაცობაზე, რაც მეზღვაურებმა დიდი სამამულო ომის დღეებში გამოიჩინეს, ფლოტის მშენებლობაზე. მან თქვა, რომ საბჭოთა ხალხი, ბოლშევიკური პარტია და პირადად ამხანაგი სტალინი ყოველდღიურ მზრუნველობას იჩენენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემდგომი განმტკიცებისათვის, რომელიც საბჭოთა ქვეყნის საზღვაო საზღვრების საგუშაგოზე დგას.

როცა ვიცე-ადმირალმა ნ. გ. კუზნეცოვმა დღეგრძელობა და გამარჯვება უსურვა ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, გენიალურ მხედართმთავარს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს, შეკრებილნი მის სიტყვებს ოვაციით შეხვდნენ. ყველანი ფეხზე დგებიან.

საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოსა და დედაქალაქის მშრომელთა სახელით მეზღვაურებს ფლოტის განმტკიცებაში წარმატებები უსურვა საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. პ. ჩერნიაევმა. მოსკოველი კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის სახელით მეზღვაურებს გულწრფელად მიესალმა საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ი. პავლოვი.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

• • •

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები გაიმართა აგრეთვე ლენინგრადში, კიევში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკში, რიგაში, ტალინში, ბაქოში, ოდესაში, სევასტოპოლში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. (საკდესი).

ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲯᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲐᲖᲐ

ᲗᲐᲮᲘᲐ-ᲗᲐᲨᲘ, 7 აგვისტო. (საკდესი). ყარა-ყუმის დიად მშენებლობაზე ფართოვდება ტექნიკური ბაზა. დღეს მწყობრში ჩადგა მეორე შვიდკუბიანი ელექტროექსკავატორი. ერთ-ერთ უბანზე წარმოებს სამკუბიანი ექსკავატორისა და ბულდოზერების გამოცდა.

ჰიდროკვანძის რაიონში საექსპლოატაციოდ გადაეცა მეორე ენერგომატარებელი. მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მიეცა № 303 მიწისმწოვ მანქანას, აამუშავა ელექტროექსკავატორები, სარემონტო საწარმოთა მოწყობილობა.

ვოლგა-დონის ინჟინრების ა. ობარინისა და დ. კურბანოვის ხელმძღვანელობით ტახია-ტაშში მიმდინარეობს ხრეშდამხარისხებელი, ქვიშასარეცხი, ხისდამუშავებელი და ბეტონის ქარხნების მშენებლობა.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ

აგარელი მექანიზატორები რუსელი წარჩინებული კომბაინერის იოსებ ტიტვინიძის მაგალითისამებრ მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საუკეთესოდ გამოყენების მაგალითებს იძლევიან. აგარის მტს-ის კომბაინერები ა. ტიტვინიძე, გ. ნოზაძე, ა. გეგელაშვილი მკის დღიურ დავალებებს ორმაგად და მეტად ასრულებენ. ა. ტიტვინიძის კომბაინი, რომელსაც რაიონის გარდამავალი წითელი დროშა ამშვენებს, მუშაობს საათობრივი გრაფიკით და სისტემატურად დღეში 20-25 ჰექტარს მკის. მან 17 სამუშაო დღეში შეასრულა საწარმოო დავალება, „სტალინეც-6“ კომბაინით მომკა 281 ჰექტარი და იბრძვის გეგმის გადამეტებით მოსავალი აიღოს 100 ჰექტარზე. ა. ტიტვინიძე 15 წელია კომბაინერად მუშაობს. კომბაინი, რომელსაც ის მართავს, მუდამ კარგ ტექნიკურ მდგომარეობაშია. კომბაინერი პურეულს უდანაკარგოდ იღებს. მან კომბაინის ხედერზე მოაწყო თავთავმჭერი, ფერდობზე მუშაობის დროს პირველადი ცხავიდან რომ არ იყოს მარცვლის დაბნევის შემთხვევები, მის გვერდებზე დაამაგრა ხის ლარტყები.

თავისი მუშაობის შესახებ ა. ტიტვინიძემ განაცხადა: — წარმატებას ვაღწევ კომბაინის საათობრივი გრაფიკით მუშაობით, რაც გვეხმარება წინასწარ დაგეგმილ დროში ზუსტად შევასრულოთ დღიური დავალება და ჩვენს მუშაობასაც კონტროლი გავუწიოთ. მანქანის ტექნიკური მოვლის ზუსტად განხორციელება, უქმი სვლების მაქსიმალურად შემცირება, ნაკვეთების სწორად დაგეგმვა — ყველაფერი ეს შრომის ნაყოფიერების გადიდების ძირითადი ღონისძიებებია.

სოფელ მოხისის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ფართობებზე მთელი ძალით შრომობს კომბაინერი გ. ნოზაძე. მან 17 სამუშაო დღეში გალეწა 3.800 ცენტნერი მარცვალი. ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით ამ სეზონში მომკას 100 ჰექტარი.

იმ ფართობებზე, სადაც ნოზაძის კომბაინი მუშაობს, მტს-ის დირექტორის ინჟინერ ა. ბარბაქაძის ინიციატივით დანერგილია კრასნოდარის მხარის მექანიზატორთა გამოცდილება — მინდვრიდან ნამჯის მექანიზებული გატანა. აგარის მტს-მა ადგილობრივი საშუალებებით დაამზადა გვარლის („ტროსის“) სათრეველები. ამან საშუალება მისცა კოლმეურნეობას საგრძნობლად შეემცირებინა ნამჯისაგან მინდვრის გაწმენდისათვის საჭირო მუშახელი. მტს-ს დამზადებული აქვს სამი ცალი ასეთი სათრეველა და გაწმენდილი აქვს ნამჯისაგან 600 ჰექტარი ფართობი.

სოფელ მოხისის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის კალოზე შეუწყვეტლად ეზიდებიან კომბაინების ბუნკერიდან ჩამოცლილ ხორბალს. კალოზე დგას „ვიმ“-ის სისტემის ხორბლის გამწმენდი და დამახარისხებელი მანქანა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს „უ-2“ მარკის ტრაქტორს. აქვე არის „ვს-2,0“ მარკის სანიავებელ-დამხარისხებელი. ეს მანქანა მოძრაობაში მოდის სტაციონარზე დაყენებული ტრაქტორის მეშვეობით. დამხარისხებელი მანქანის წარმადობა დღეში 12 ტონას უდრის. მექანიზებული კალოს მოწყობით კოლმეურნეობას მუშახელის საგრძნობი დაზოგვის შესაძლებლობა მიეცა.

Გ. ᲗᲐᲨᲐᲫᲔ,

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახოფლო-სამეურნეო პროპაგანდის სამმართველოს ინჟინერ-მექანიკოსი.

ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ 10 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲗ

რაიონების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით: წყალტიანის	ავგისტოსი, დანაკლისის ჩათვლით
ბათუმის	60,9	12,7
ქობულეთის	62,2	15,4
ქედის	83,3	12,5
სულ აჭარის ასსრ-ში	**61,9**	**14,7**
გალის	56,9	6,9
ოჩამჩირის	55,9	4,9
გულრიფშის	61,3	1,9
სუხუმის	59,0	3,4
გუდაუთის	67,9	18,2
სულ აფხაზეთის ასსრ-ში	**57,7**	**6,8**
მახარაძის	60,7	11,2
ჩოხატაურის	57,9	8,0
ლანჩხუთის	59,2	11,9
სამტრედიის	49,2	7,3
წულუკიძის	49,7	5,4
ქუთაისის	62,5	10,3

რაიონების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით: წყალტიანის	ავგისტოსი, დანაკლისის ჩათვლით
წყალტუბოს	50,2	3,1
ტყიბულის	56,4	10,1
ცხაკაიას	48,8	6,5
აბაშის	36,7	2,7
გეგეჭკორის	57,8	13,1
ზუგდიდის	55,8	8,2
წალენჯიხის	59,3	13,7
ჩხოროწყუს	54,8	8,6
ხობის	48,3	5,8
თერჯოლის	60,2	6,1
ზესტაფონის	62,1	4,4
სულ ქუთაისის ოლქში	**57,3**	**9,8**
სულ საქართველოს სსრ-ში	**58,2**	**10,1**

მახარაძის, ოჩამჩირის, გულრიფშისა და სუხუმის რაიონების ცნობები არასრულია.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 27 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად 1951 წელს **ხორბლის, თამბაქოს უხვი მოსავლის მოყვანისა და მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებასა და გალეწვაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის,** როცა ამავე დროს კოლმეურნეობებმა შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, მტს-ის მუშაობის ნატურანაზღაურების ვალდებულებანი და სრულად მოიმარაგეს ყველა კულტურის თესლი 1952 წლის საგაზაფხულო თესვისათვის, **დაჯილდოებულ იქნან:**

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ

1. **ᲧᲐᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ვლადიმერ აბრამის-ძე — აფენის მტს-ის კომბაინერი, რომელმაც „სტალინეც-6“ კომბაინით 25 სამუშაო დღეში გალეწა 6.219 ცენტნერი მარცვლეული კულტურები.

2. **ᲡᲔᲠᲒᲔᲔᲕᲐ** მარიამ ივანეს ასული — ლაგოდეხის რაიონის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 25,3 ცენტნერი ტრაპიზონის ჯიშის თამბაქო.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲤᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ

1. **ᲐᲚᲐᲕᲔᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ** მიხეილ ვასილის-ძე — ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების უბნის აგრონომი, რომელმაც 913 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 18,5 ცენტნერი ხორბალი.

2. **ᲒᲝᲑᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ** მარიამ ილიას ასული — ლაგოდეხის რაიონის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 95 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 22,7 ცენტნერი ხორბალი.

3. **ᲒᲝᲒᲠᲘᲭᲘᲐᲜᲘ** ნინო ვ

პ ა რ ტ ი უ ღ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

ავამაღლოთ პარტიული მუშაობის დონე, უკეთ ვუხელმძღვანელოთ წარმოებას

⊙

ძ. თბილისის მოლოტოვის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე

⊙

შედგა ქ. თბილისის მოლოტოვის რაიონის IX პარტიული კონფერენცია.

კონფერენციამ ტაშის გრიალით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინის მეთაურობით.

საანგარიშო პერიოდში რაიკომის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ცქიტიშვილმა.

— ჩვენი რაიონის პარტიული ორგანიზაციები, — თქვა მომხსენებელმა, —საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განახლებული ხელმძღვანელობის მეთაურობით ენერგიულად იბრძვიან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ სტალინის ისტორიულ მითითებათა განუხრელად განხორციელებისათვის, პარტიული და სამეურნეო მუშაობის იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, რაც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის უხეშმა შეცდომებმა გამოიწვია.

საანგარიშო პერიოდში რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გარდაქმნეს შინაპარტიული მუშაობა, გააუმჯობესეს სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა, აამაღლეს თავიანთი ორგანიზატორული როლი.

ხელმძღვანელობის გაძლიერების შედეგად რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ექვსი თვის დავალება 102,5 პროცენტით შეასრულეს, მიაღწიეს პროდუქციის თვითღირებულების შემდგომ შემცირებას, აამაღლეს შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი.

მოწინავე საწარმოთა შორის აღსანიშნავია ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა. ამ ქარხნის კოლექტივმა, ასორტიმენტისა და ნომენკლატურის სრული დაცვით, ექვსი თვის გეგმა 103,1 პროცენტით შეასრულა. ქარხნის კოლექტივმა საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი დროშა მიიღო. მოწინავე საწარმოთა რიგებში არიან აგრეთვე ფეხსაცმლის № 3 ფაბრიკა და კარტოგრაფიული ფაბრიკა № 8.

საწარმოთა კოლექტივების დაწინაურებაში მთავარ როლს პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები ასრულებენ, ისინი სათავეში უდგანან მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, უნარიანად ნერგავენ ნოვატორთა გამოცდილებას, რაზმავენ მასებს პარტიისა და მთავრობის დავალებათა ბოლშევიკურად განხორციელებისათვის.

რაიონში არის ისეთი საწარმოებიც, რომლებიც, მართალია, წინა წლებთან შედარებით უკეთ მუშაობენ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ გეგმას. ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნიან საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს № 1 სამკერვალო ფაბრიკა, თბილუნივერმაღის № 1 საწარმოო კომბინატი, ფეხსაცმლის სამოდელო ფაბრიკა, არტელები „ტყემრეწვი“, „მშრომელთა კავშირი“, „თბილტყემრეწვი“ და სხვ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაიონში დიდი მასშტაბის მშენებლობაა გაჩაღებული, მაგრამ ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაცია უპასუხისმგებლოდ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, უხარისხოდ ასრულებს სამუშაოებს. ელბაქიძის ხიდის რეკონსტრუქციის გაჭიანურებას მისი მშენებლები „ობიექტური“ მიზეზებით ხსნიან. საქმის შინაარსს თუ გავეცნობით, დავრწმუნდებით, რომ ამ მშენებლობის გეგმის შეუსრულებლობა პირველ რიგში მშენებელთა უთაღარიგობითა და შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობით არის გამოწვეული.

ახალ მშენებლობათა პარტიული ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ მშენებელთა კოლექტივებს, სათანადოდ არ იბრძვიან მშენებლობის გაჭიანურების წინააღმდეგ, ხოლო პარტიის რაიკომი საჭირო დახმარებას არ უწევს მათ. საკმარისია ითქვას, რომ საანგარიშო პერიოდში რაიკომს ერთხელაც არ განუხილავს ცალკე მშენებლობათა და მათი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხი.

მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა სახელმწიფოებრივი საკუთრების დაცვის ლონისძიებებზე, ილაპარაკა სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და ბიუჯეტის შესრულების საკითხებზე.

— სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, — თქვა მან, — წარმატებათა მიღწევა შეუძლებელია, თუ პარტიული მუშაობა ნაყოფიერად არ არის დაყენებული. პარტიის რაიკომი უკანასკნელ ხანს სერიოზულ ყურადღებას აქცევს პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი დახმარების საქმეს. რაიკომის მუშაკები ახლა უფრო ხშირად იმყოფებიან საწარმოებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში, და კონკრეტულად ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებს შინაპარტიული მუშაობის უკეთ მოწყობაში. რაიკომის პლენუმებსა და ბიუროს სხდომებზე სისტემატურად ვიხილავთ ცალკე პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხს, ვუსახავთ მათ ლონისძიებებს, პრაქტიკულად ვეხმარებით ნაკლოვანებათა გამოსწორებაში.

რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში ახლა სერიოზული გამოცოცხლება იგრძნობა. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, რომლებიც ახლახან ჩატარდა, ფართო გასაჭანი მიეცა კრიტიკასა და თვითკრიტიკას. კომუნისტებმა გაბედულად გააკრიტიკეს პარტიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელების ნაკლოვანებანი, წამოაყენეს საქმიანი წინადადებანი, მოითხოვეს მუშაობის ახლებურად მოწყობა.

რაიონის ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერა დგას თავისი ამოცანების სიმაღლეზე. ისეთ წამყვან საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებში, როგორიც არის № 1 სამკერვალო ფაბრიკა, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ფეხსაცმლის № 3 ფაბრიკა, თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოთა ფაბრიკა და სხვ., უყურადღებოდ ეკიდებიან პარტიის რიგების ზრდას. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული აგრეთვე პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობა. სწორედ ამის შედეგია, რომ 181 კანდიდატიდან, რომლებიც რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში ირიცხებიან, 96 სტაჟგადაცილებულია.

წინა წლებთან შედარებით რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს იდეოლოგიური მუშაობა, უკეთ ხელმძღვანელობენ კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეს, მაგრამ ცოტა როდი შეიძლება დავასახელოთ ისეთი მაგალითებიც, როცა ცალკეულ პარტორგანიზაციებს პარტიული სწავლების საკითხი მხოლოდ პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის დაწყების ან დამთავრების დროს აგონდებათ.

მოხსენების გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა. პირველი გამოვიდა № 1 სამკერვალო ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი ამხ. თ. სხვიტარიძე.

— ჩვენი ფაბრიკის მიერ საწარმოო დავალებათა შეუსრულებლობა, — თქვა მან, — მხოლოდ იმით როდია გამოწვეული, რომ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო საჭირო დახმარებას არ გვიწევს, დროულად არ გვამარაგებს ნედლეულით, უყურადღებოდ ეკიდება წარმოების ინტერესებს, ჩამორჩენის მთავარი მიზეზი პირველ რიგში ის არის, რომ ფაბრიკის სამეურნეო ხელმძღვანელობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ შექმნეს საჭირო პირობები წარმოების შეუფერხებელი და გამართული მუშაობისათვის. პარტიის რაიკომი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად გვეხმარება. რაიკომის განყოფილებათა გამგეები, მდივნები იშვიათად მოდიან საწარმოში, კონკრეტულად არ გვეხმარებიან პარტიული მუშაობის უკეთ მოწყობაში.

თვითკრიტიკული და საქმიანი იყო ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორის ამხ. გ. ბერძენიშვილის გამოსვლა.—მართალია, — თქვა მან, — ჩვენი ქარხნის კოლექტივი გეგმას როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით ასრულებს, მაგრამ ეს როდი გვაძლევს უფლებას თვითკმაყოფილებას მივეცეთ, ვთქვათ, რომ ჩვენთან ყველაფერი რიგზეა. მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმას უფრო მაღალი მაჩვენებლებით შევასრულებდით, მაქსიმალურად რომ გამოგვყენებინა ყველა შესაძლებლობანი და არსებული რეზერვები. ქარხანაში ჯერ კიდევ მტკიცედ არ არის დანერგილი რიტმული მუშაობა. ჩვენი კოლექტივის სერიოზული ნაკლოვანებებით აიხსნება ისიც, რომ წელს იანვარსა და მაისში ვერ შევძელით სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია, მართალია, ხშირად მსჯელობს წარმოების საკითხებზე, მუშაობის გაუმჯობესებისათვის სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს, მაგრამ დაწყებული საქმე ყოველთვის ბოლომდე ვერ მიჰყავს. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პარტიული კონტროლი სამეურნეო საქმიანობისადმი, ყველა კომუნისტი როდი დგას შრომის ავანგარდში.

— ჩვენი პარტიული ორგანიზაცია, —განაცხადა თბილუნივერმაღის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ი. ლოხიშვილმა, — ჯერ კიდევ ნელი ტემპით მუშაობს თავისი საქმიანობის გარდასაქმნელად. ცოტა როდი შეიძლება დავასახელოთ მაგალითები, როცა საქმეს ფორმალურად ვეკიდებით. უნივერმაღისა და მისი ფილიალების მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ ხშირად ვმსჯელობთ პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით დასახული ღონისძიებანი, როგორც წესი, არ სრულდება. ვაჭრობის მუშაკთა შორის მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის სუსტად დაყენებით უნდა აიხსნას, რომ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი მომხმარებელთა მოტყუების, გაფლანგვის, მტაცებლობისა და სპეკულაციის შემთხვევები. უნივერმაღის სამეურნეო ხელმძღვანელები უყურადღებოდ ეკიდებიან კომუნისტების სიგნალებს, ანგარიშს არ უწევენ მათს კანონიერ მოთხოვნებს.

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მ. თათარაშვილმა კონფერენციის დელეგატებს მოუთხრო იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებები ხორციელდება რაიონის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის. მან ილაპარაკა ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზეც. რაისაბჭოს აღმასკომი, კერძოდ კი მისი კომუნალური მეურნეობის განყოფილებისა და სარემონტო კანტორის მუშაკები მოუქნელად მუშაობენ. მათი უყურადღებობის შედეგად სისტემატურად ირღვევა ცალკე ობიექტების მშენებლობისა და რემონტის ვადები, შესრულებული სამუშაოები დაბალი ხარისხისაა.

თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოების ფაბრიკისა და ფსიქიატრიის ინსტიტუტის პარტბიუროების მდივნების ამხ. ე. ელისაშვილისა და ბ. ნანეიშვილის გამოსვლა სამეურნეო საქმიანობის უბრალო ანგარიშის ხასიათს ატარებდა. მიუხედავად იმისა, რომ რეგლამენტი გაუგრძელეს, მათ მაინც ვერაფერი თქვეს საანგარიშო პერიოდში პარტიის რაიკომის მუშაობის შესახებ, მის ხელმძღვანელობაზე პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ამხანაგები ო. კოლუაშვილი (რაიპროკურორის თანაშემწე), მ. მათიაშვილი (რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე), დ. ჟორჟოლიანი (პარტიის რაიკომის მდივანი) და სხვ. სულ 18 ამხანაგი.

კონფერენციამ რაიკომის განვლილი მუშაობა ჩათვალა დამაკმაყოფილებლად და მიიღო სათანადო დადგენილება. კონფერენციამ ფარული (დახურული) კენჭისყრით აირჩია რაიონული კომიტეტისა და საარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

კონფერენციის მონაწილეებმა მჭუხარე ხანგრძლივი ტაშით მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ხალხთა დიდ ბელადს და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს. მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა დიდი სტალინის თანამებრძოლს ამხანაგ ლ. პ. ბერიას.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. ბუჯიაშვილმა.

• • •

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გ. ცქიტიშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ა. შენგელია, მდივნად — ამხ. დ. ჟორჟოლიანი.

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა. სურათზე: ბრიგადირი გ. პირადოვი (წინა პლანზე) და ზეინკალი ე. მარღანია აწყობენ თუჯის სხმულის გასაწმენდ მანქანას. ახინი გამომუშავების ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ფოტო რ. აკოფოვისა.

მანქანა მეგალურგიული წარმოებისათვის

ერთი წლის წინათ თბილისის კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში აითვისეს თუჯის სხმულის გასასუფთავებელი მანქანის წარმოება. ამ მანქანის გამოშვების დავალების შესრულებას აფერხებდა მისი მთავარი ნაწილის — რედუქტორის უქონლობა. წინათ რედუქტორებს ქარხანა სხვა საწარმოებიდან იღებდა, რომლებიც ხშირად დავალებებს არ ასრულებდნენ.

წელს ქარხნის ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა და სტახანოველებმა მოაგვარეს რედუქტორის ადგილზე დამზადება. ამან უზრუნველყო თუჯის სხმულის გასასუფთავებელი მანქანის გამოშვების დავალების წარმატებით განაღდება. მანქანის გამოშვების შვიდი თვის გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით. ქარხანას შეეძლო გეგმა გადაჭარბებით შეესრულებინა, მას რომ ხელს არ უშლიდეს ფურცლოვანი და მრგვალი რკინის უქონლობა და საამქროებში საწარმოო ფართობის სივიწროვე.

თბილისური თუჯის სხმულის გასასუფთავებელი მანქანები იგზავნება საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში მეტალურგიულ საწარმოებში გამოსაყენებლად.

ამჟამად ქარხანამ მანქანები დაამზადა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში გასაგზავნად.

რძის გადასამუშავებელი ქარხანა ახალქალაქში

ახალქალაქი. („კომუნისტის“ კორ.). ამას წინათ აქ ამუშავდა ახლადაგებული და მოწყობილი რძის გადასამუშავებელი ქარხანა, რომელმაც უნდა გამოუშვას მაღალხარისხოვანი „საბჭოთა“, „თუშური“ და ბრინზა-ყველი. ქარხანა მასობრივად დაამზადებს და გამოუშვებს აგრეთვე მშრალ რძეს და ნაყინს.

ეს ქარხანა, რომელმაც ყოველწლიურად მრავალი ათასი ცენტნერი რძე უნდა გადაამუშაოს, აგო საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ.

ვაშენოთ სწრაფად, იაფად, მაღალხარისხოვანი

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ... აქტივის კრება

საქმიან ვითარებაში, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა რუსთავში ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სამეურნეო აქტივის კრება სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის დირექციის და სპეციალიზებული ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით.

კრებამ განიხილა საკითხი: ტრესტის მუშაობის შვიდი თვის შედეგები და მომავალი ამოცანები.

მოხსენება გააკეთა მეტალურგმშენის ტრესტის მმართველმა ამხ. ნ. გიორგაძემ.

მიუხედავად იმისა, რომ ტრესტმა სპეციალიზებულ ორგანიზაციებთან ერთად 1951 წლის შვიდ თვესთან შედარებით წელს თითქმის 21 პროცენტით მეტი სამუშაოები შეასრულა, ხოლო საკუთარი ძალებით — 31 პროცენტით მეტი, სახელმწიფო დავალებათა გაღაღდებაში იგი მაინც საგრძნობლად ჩამორჩა. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა მთლიანად შესრულებულია 75,3 პროცენტით, ხოლო ტრესტის ძალებით — 78,4 პროცენტით.

სუსტად ასრულებენ დავალებებს ზესტაფონმშენი და წყალტუბომშენი, რომლებმაც სანახევროდაც ვერ გაანაღდეს დავალება. ცუდად იმუშავეს აგრეთვე ჭიათურმშენმა და თბილისის სამშენებლო სამმართველომ.

კვლავ სერიოზულად ჩამორჩენილია საბინაო მშენებლობა — 7 თვეში ჩაბარებულია 7.251 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც ნახევარი წლის დავალების მხოლოდ 62 პროცენტს შეადგენს. აგვისტოში გადასაცემად მომზადებულია კიდევ 7.000-მდე კვადრატული მეტრი ფართობი.

არ არის ორგანიზებული მუშების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება. ყოველივე ამის შედეგია ის, რომ სანარდო სამუშაოებზე მუშების 44 პროცენტი ვერ ასრულებს გამომუშავების ნორმებს.

ტრესტის ხელმძღვანელობა, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ მშენებელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის, საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის, სამუშაოზე მათი შენარჩუნებისათვის, არ ეწევიან პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას. ამის გამო მუშების დიდი დენადობაა, დაბალია შრომის დისციპლინა, ხშირია გაცდენები.

III და IV კვარტალში კიდევ უფრო მეტი სამუშაოებია შესასრულებელი, ვიდრე წლის პირველ ნახევარში.

—წარმატებით რომ შეასრულოთ ეს დავალება, — ამბობს ამხ. გიორგაძე,— საჭიროა გადაჭრით განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა, აღვკვეთოთ მუშახელის დენადობა, მკვეთრად გავაუმჯობესოთ შრომის ორგანიზაცია, ბოლო მოვუღოთ მასალების დანაკარგებს, გავაუმჯობესოთ სამშენებლო მექანიზმებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაცია, ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

„კავსანტეხმონტაჟის“ უფროსმა ამხ. გ. სტოროჟენკომ გააკრიტიკა მეტალურგიული ქარხნის დირექცია, რომელიც განსაზღვრულ ვადებში არ აწვდის „კავსანტეხმონტაჟს“ არმატურასა და მოწყობილობას, ამით აფერხებს ობიექტების დროზე დამონტაჟებას.

კალატოზი ამხ. გ. მაისურაძე თავის გამოსვლაში ძირითადად შეჩერდა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში მშენებელთა კადრების მომზადებისა და მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების საკითხებზე. მან მოითხოვა, რომ შრომითი რეზერვების მე-13 და 36-ე საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები მეტი პასუხისმგებლობით მეკიდონ ახალგაზრდა მუშების აღზრდას.

სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს წარმომადგენელი ამხ. ი. პაკრების მონაწილეთა ყურადღებას ამახვილებს წარმოების კულტურის შემდგომი ამაღლების აუცილებლობაზე, შრომის მოწინავე მეთოდების შესწავლასა, განზოგადებასა და ფართოდ დანერგვაზე.

კრება ვერ დააკმაყოფილა სამოქალაქო ბინათმშენებლობის სამმართველოს მთავარი ინჟინრის ამხ. ს. ტატანაშვილის არაფრის მთქმელმა გამოსვლამ. ცნობილია, რომ ტრესტის კოლექტივი დიდ ვალშია რუსთავის მეტალურგებთან. ამაში უმთავრესად ბრალი მიუძღვის სამოქალაქო ბინათმშენებლობის სამმართველოს. ამხ. ტატანაშვილი კი ცდილობდა სამმართველოს სუსტი მუშაობა სხვებისთვის გადაებრალებინა.

ტრესტის ხელმძღვანელი მუშაკების მიერ წარმოების ეკონომიკის შესწავლაზე, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვის აუცილებლობაზე ილაპარაკა სამინისტროს მთავარმა ბუხჰალტერმა ამხ. ლ. ჩაპნიცკიმ.

სამინისტროს „გლავიუგსტროის“ სამმართველოს უფროსის ამხ. რ. კირილოვის გამოსვლის ძირითადი თემა იყო მშენებლობის მოწინავე, პროგრესული მეთოდების გამოყენება ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მშენებლობაზე. იგი განსაკუთრებით შეჩერდა მუშაობაში კვირეულ-სადღეღამისო გრაფიკის დანერგვაზე.

დასასრულ აქტივის კრებაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის მინისტრი ამხ. დ. რაიზერი.

ამხ. რაიზერი ეხება შრომის ორგანიზაციის საკითხს და აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტში არადამაკმაყოფილებელია შრომის დისციპლინა, ხშირია გაცდენა-დაგვიანება, მთელ რიგ შემთხვევებში დაბალია გამომუშავება, ადგილი აქვს მუშახელის დენადობას, მშენებელთა ნაწილის კვალიფიკაცია არ შეეფერება თანამედროვე ტექნიკის მოთხოვნებს. ამ ნაკლოვანებების სწრაფი აღმოფხვრა ტრესტის ხელმძღვანელობის გადაუდებელი ამოცანაა.

ამხ. რაიზერი ჩერდება საექსპლოატაციოდ გადაცემული ობიექტების ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სამუშაოების უახლოეს ხანში მთლიანად დამთავრების მნიშვნელობაზე.

— ამიერკავკასიის მეტალურგმშენის მუშაობის ნაკლოვანებები გამოწვეულია ტრესტის მუშაკთა არაოპერატიული საქმიანობით. ამიტომ ტრესტის ხელმძღვანელობა მოვალეა გააძლიეროს კონტროლი აპარატის მუშაობისადმი, მეტი მომთხოვნელობა გამოიჩინოს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისადმი და სამშენებლო სამმართველოთა ხელმძღვანელებისადმი.

ამხ. რაიზერმა ვრცლად ილაპარაკა აგრეთვე მშენებლობის ხარისხზე, მექანიზმების რაციონალურად გამოყენების საკითხზე.

— გრაფიკი და ნაკადური მეთოდი, —ამბობს იგი—ჩვენი სამშენებლო ტექნიკის კანონია. ამიტომ, მათი მთელი სისრულით გამოყენება, ფართოდ დანერგვა წარმოებაში—აი რას უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ამიერკავკასიის მეტალურგმშენის კოლექტივმა.

სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო ვრცელი დადგენილება.

აქტივის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ამხანაგები ა. მგელაძე, ზ. კეცხოველი, ვ. ბუჯიაშვილი, გ. ჯავახიშვილი.

რკინიგზის სუხუმის განყოფილება პირველ ადგილზე

თავიანთი ტრადიციული დღესასწაულის დღეს ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში საბჭოთა რკინიგზელებმა ახალი ვალდებულებანი იკისრეს. ამიერკავკასიის რკინიგზის სუხუმის განყოფილების კოლექტივი პატრიოტული თავდადებით მუშაობს ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განხორციელებისათვის. ახალი, მძლავრი საწარმოო აღმავლობის შედეგად სუხუმის განყოფილებამ ტვირთზიდვის 7 თვის დავალება 107,5 პროცენტით შეასრულა, ვაგონების დატვირთვის გეგმა განაღდებულია 119,4 პროცენტით და გეგმის გადამეტებით დატვირთულია ათასობით ვაგონი. გადაჭარბებით არის შესრულებული ვაგონების ბრუნვის დავალება, გაუმჯობესდა მატარებელთა მოძრაობის გრაფიკის დაცვა.

საამაყო მაჩვენებლებით მუშაობენ სუხუმელი და ოჩამჩირელი მეორთქლმავლეები. რენტაბელური რეისებით, ერთ მგზავრობაზე სოციალისტური ხელშეკრულების გაფორმებით, მუშაობის მოწინავე მეთოდების უნარიანი გამოყენებით ისინი გადაჭარბებით ასრულებენ საგეგმო დავალებებს. განყოფილებაში ფართოდ არის დანერგილი მძიმე წონის მატარებელთა ტარების პატრიოტული თაოსნობა. მარტო ექვს თვეში დანიშნულებისამებრ გაგზავნილია მძიმე წონის ასობით მატარებელი და გადატანილია რამდენიმე ათეული ათასი ტონა ზეგეგმითი ტვირთი. შვიდ თვეში დაზოგილი საწვავით, რაც 1.138 ტონას შეადგენს, შესრულებულია მრავალი რეისი.

სუხუმელ მეორთქლმავლეთა ინიციატივით შექმნილია ორთქლმავალთა კოლონა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი ინსტრუქტორი-მემანქანე ამხ. რ. ჩხაიძე. ამ კოლონაში 9 ლოკომოტივია. კოლონის მონაწილეებმა მარტო ერთ თვეში 184,5 ტონა საწვავი დაზოგეს და მრავალი რენტაბელური რეისი გააკეთეს. კოლონის ყველა ორთქლმავალი სამეურნეო ანგარიშზეა გადაყვანილი.

სასახელოდ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს მოძრაობის დარგის მუშაკებიც. ზუსტად იცავს მოძრაობის გრაფიკს წევის დისპეტჩერი ი. ჭელიძე. ტრანსპორტის ნოვატორთა გამოცდილების ფართოდ გამოყენებით დისპეტჩერმა ს. ნაროუშვილმა ივლისში პირველი ადგილი დაიკავა განყოფილების დისპეტჩერთა შორის, მან საუბნო სიჩქარის დავალება 107,7 პროცენტით გაანაღდა, ზუსტად დაიცვა გრაფიკი.

სამეურნეო წლის პირველ ნახევარში ერთ მგზავრობაზე სოციალისტური ხელშეკრულების გაფორმებით გატარებულია რამდენიმე ასეული შემადგენლობა. დისპეტჩერთა ენერგიული მუშაობით და მათ მიერ მოწინავეთა გამოცდილების გამოყენებით გრაფიკში ჩაყენებულია დაგეგმილებული 258 მატარებელი. განყოფილების დისპეტჩერთა დიდმა უმრავლესობამ, რომლებიც ტრანსპორტის ნოვატორის ამხ. სუდნიკოვის მეთოდით მუშაობენ, მატარებლების დანიშნულების ადგილას ადრე ჩაყვანით 92 ათასზე მეტი ვაგონ-საათი დაზოგა.

სანიმუშოდ მუშაობენ მევაგონეები და მელიანდაგეები. სავაგონო უბანში გაბედულად დანერგეს ცნობილი ნოვატორის, სადგურ კრასნი ლიმანის ვაგონების უფროსი გამსინჯველის, სტალინური პრემიის ლაურეატის ამხ. ა. შჩებლიკინის მეთოდი. მევაგონეთა დიდი უმრავლესობა საშუალოდ 8-10 წუთით ამცირებს ახალ შემადგენლობათა გასინჯვის დროს, მატარებლებს ერთდროულად სინჯავს ორივე მხრიდან. განსაკუთრებით დაწინაურდა იმ ცვლის კოლექტივი, რომელსაც კომუნისტი ამხ. ი. შუბლაძე ხელმძღვანელობს.

სერიოზული წარმატებანია მოპოვებული მგზავრთა კულტურული მომსახურების საქმეში. ამ უკანასკნელ წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ბევრი ახალი, კეთილმოწყობილი სადგური და ვაგზლები, მათ შორის გაგრის, გუდაუთის, ოჩამჩირის, სუხუმის და კვეზანის ვაგზლები.

რკინიგზის სუხუმის განყოფილებამ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის, აგრეთვე ივლისის შედეგების მიხედვით ამიერკავკასიის რკინიგზის განყოფილებებს შორის პირველი ადგილი დაიკავა. მაგრამ განყოფილების კოლექტივი მიღწეულით არ კმაყოფილდება და ყველაფერს აკეთებს ახალ, უფრო დიდ წარმატებათა მოსაპოვებლად, დიდი სტალინისათვის მიცემულ პირობის გასანაღდებლად.

გ. წიბლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ლ ე ქ ც ი ე ბ ი დ ა მ ო ხ ს ე ნ ე ბ ე ბ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა შ ი

ტყიბული. (საკ. კორ.). პარტიის ტყიბულის რაიკომი დიდ ყურადღებას აქცევს მოსახლეობაში ლექციური პროპაგანდის ფართოდ გაშლას. რაიკომთან შექმნილია შტატგარეშე ლექტორთა და მომხსენებელთა ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია 19 კაცი. ჯგუფის ძალებით ჩატარებულია 300-მდე ლექციამოხსენება.

ლექციების თემატიკაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხებს. სისტემატურად იკითხება ლექციები და მოხსენებები კომუნიზმის დიად მშენებლობებზე და საერთაშორისო საკითხებზე. ლექციები ეძღვნება აგრეთვე მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას, მოწინავე საბჭოთა აგროტექნიკის მიღწევებს.

მილება სახელოსნო სასწავლებლებში

შრომითი რეზერვების სასწავლებლები და სკოლები ყოველწლიურად აბობით მაღალკვალიფიციურ მუშა—მეტალურგს, მეშახტეს, მაღაროელს, ზეინკალს, მშენებელს უმზადებენ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობას. სახელოსნო სასწავლებელდამთავრებული მრავალი ახალგაზრდა მონდომებით შრომობს სამშობლოს საკეთილდღეოდ. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის სტახანოველი ზეინკალი გ. ბუხრიკიძე და ჩქაროსანი ხარატი ვ. ბაქრაძე სახელოსნო სასწავლებლებში აღიზარდნენ. ისინი ყოველდღიურ ნორმებს 200-250 პროცენტით ასრულებენ. ახალგაზრდა სპეციალისტებმა ქარხნის კოლექტივის დიდი სიყვარული დაიმსახურეს.

ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს მილება სახელოსნო სასწავლებლებში. დღეა ახალგაზრდობის სწრაფვა საწარმოო პროფესიების შესწავლისადმი. 1 აგვისტოსათვის 1.000-ზე მეტ ახალგაზრდას ჰქონდა შეტანილი განცხადება რესპუბლიკის სახელოსნო სასწავლებლებში მიღების შესახებ. შარშან ამ დროისათვის შესული იყო მხოლოდ 760 განცხადება. თბილისის მე-11 სამხატვრო სასწავლებელში 50 ადგილზე 98 მთხოვნელია. რკინიგზის პირველ სასწავლებელში, სადაც 155 კაცია მისაღები, უკვე შესულია 208 განცხადება.

გაცხოველებული მუშაობაა სასწავლო და დამხმარე შენობების შესაკეთებლად. ბევრგან უკვე დაამთავრეს რემონტი. შეკეთდა რუსთავის მე-17, თბილისის მე-5 და სხვა სახელოსნო სასწავლებლის შენობები და საერთო საცხოვრებლები. მიღებულია ზომები, რომ ყველა სასწავლებელი ვადაზე 5 დღით ადრე—25 აგვისტოსათვის ყოველმხრივ მზად შეხვდეს ახალ შევსებას. ამ დროისათვის სასწავლო სახელოსნოები, კაბინეტები, ლაბორატორიები შეივსება ახალი იარაღებით, მოწყობილობით, აპარატურით.

სახელოსნო სასწავლებლებთან არის კეთილმოწყობილი სასადილოები, კლუბები, ბიბლიოთეკები, სასპორტო მოედნები. სწავლისა და შრომის შემდეგ მოსწავლეები კულტურულად და შინაარსიანად დაისვენებენ. სასწავლებლები დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პედაგოგებითა და საწარმოო სწავლების ოსტატებით.

წელს რუსთავში სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ბაზაზე იხსნება ახალი სახელოსნო სასწავლებელი. მისთვის უკვე გამოყოფილია შენობა და საჭირო ინვენტარი.

ვ. სიმონიშვილი.

სამკურნალო ქსელის გაფართოება

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულის ცენტრალურ უბანში მეშახტეთა და შახტმშენებელთა მომსახურების გასაუმჯობესებლად გაიხსნა ახალი საავადმყოფო.

საავადმყოფო კარგად არის მოწყობილი, უზრუნველყოფილია სამედიცინო ინვენტარით და კვალიფიციური კადრებით.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმში

ბათუმი. (საკ. კორ.). წელს აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმში განხორციელდა კაპიტალური რემონტი და განყოფილებათა რეექსპოზიცია. მუზეუმში მოეწყო ახალი გამოფენა თემაზე: „ხალხთა ბრძოლა მშვიდობისათვის“. მთელი რიგი განყოფილებები გამდიდრდა და შეივსო ახალი ექსპონატებითა და მასალებით.

მშვიდობისადმი მიძღვნილ გამოფენაზე, რომელიც მუზეუმის შესასვლელში მოეწყო, ასახულია საბჭოთა ხალხის ბრძოლა მტკიცე მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის. აქვე წარმოდგენილია კომუნიზმის დიად მშენებლობათა რუკა. გამოფენაზე ასახულია აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთა ბრძოლა მშვიდობისათვის, გამოფენილია სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მშვიდობისათვის მებრძოლი ადამიანების პორტრეტები. გამოფენა ნათელ წარმოდგენას იძლევა აგრეთვე კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ბრძოლის შესახებ მშვიდობის განმტკიცებისა და შენარჩუნებისათვის.

ფოტოდოკუმენტები ასახავენ მშრომელთა გაფიცებსა და დემონსტრაციებს, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალების დევნას კაპიტალისტურ ქვეყნებში; ნაჩვენებია ამერიკელი აგრესორების საშინელი მხეცობა კორეაში, საკონცენტრაციო ბანაკებში ფილიპინებზე და სხვ.

მუზეუმის ბიოლოგიური და ზოოლოგიური განყოფილებები განახლებული და გამდიდრებულია ახალი ექსპონატებით. კარგად არის ასახული ცხოველთა ევოლუცია. განყოფილება წელს შევსებულია ფრინველთა იშვიათი წარმომადგენლებით. გახსნილია სანადირო სპორტისა და ნადირობის პროცესების ამსახველი ფოტოგამოფენა.

ეთნოგრაფიული განყოფილების ექსპონატები და მასალები განლაგებულია თემატიკის მიხედვით. განყოფილებას წელს დაემატა თემა: „მეფუტკრეობა ძველ აჭარაში“. კარგად არის ასახული რევოლუციამდელი – პერიოდის აჭარელი გლეხის ბეჩავი ოჯახი, ძველი აჭარული ჩაცმულობა, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, შრომის პროცესები და შინამრეწველობა.

ისტორიული განყოფილება გვიხატავს ქართველი ხალხის წარსულს. ქართველთა ბრძოლა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ გადმოცემულია სურათებითა და მაკეტებით.

კარგად არის ასახული დიდი სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ბათუმის პერიოდი.

საბჭოთა პერიოდის განყოფილებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოსა და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ამსახველ დოკუმენტებს. განყოფილება იძლევა საქართველოს და მისი განუყრელი ნაწილის — აჭარის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი აყვავების სურათს. აქ გამოკრულია მოწინავე ადამიანების — ჩაის, ციტრუსების. თამბაქოსა და სხვა კულტურების უხვი მოსავლის ოსტატების — ფოტოპორტრეტები. მილიონერი კოლმეურნეობა და კოლმეურნის შეძლებული ცხოვრება დამაჯერებლად არის გადმოცემული ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის საინტერესო მასალებზე.

გამოფენაში ასახულია აჭარის სოფლის მეურნეობის სხვა დარგების, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, კულტურის, ხელოვნების განუხრელი აყვავება.

მუზეუმის კოლექტივს ნაყოფიერი მუშაობა გაუწევია იმისათვის, რომ კარგად აესახა სოციალისტური აჭარის ისტორია, ბუნების სიმდიდრენი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გაუხრელი აღმავლობა, ჯანმრთელობის დაცვა, განათლების, კულტურისა და ხელოვნების მძლავრი აყვავება.

ყველა სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობას— კულტურული ცენტრი

დღითიდღე იზრდება და ლამაზდება სოციალისტური სოფელი, განუწყვეტლივ უმჯობესდება მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები. ყოველივე ეს მოითხოვს სასოფლო ცენტრების კეთილმოწყობას, რომ ისინი წარმოადგენდნენ არა მარტო ადმინისტრაციულ, არამედ მშრომელთა დასვენების ცენტრებსაც.

ამ მხრივ ბევრგან ნაყოფიერი მუშაობაა გაწეული. მაგალითად, ოჩამჩირის რაიონში კარგად არის მოწყობილი სოფლების: პირველი ბედიის, ილორის, მოქვის, აკვასკის სასოფლო ცენტრები. ერთ დროს ტყეებით დაფარულ გაუვალ ადგილებში აშენდა ახალი, კეთილმოწყობილი სოფლები — ახალი კინდღი, ახალი დაბა, ცაგერა და სხვ. რაიონის რამდენიმე სოფელი რადიოფიცირებულია. ახლო ხანში ამუშავდება მოქვის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც მომსახურებას გაუწევს რაიონის მრავალ კოლმეურნეობას.

მაგრამ ყველგან ასე როდია. სოფელ ოხურეის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა და სასოფლო საბჭოს აღმასკომი ერთ ეზოშია მოთავსებული. მაგრამ ამ ეზოს კეთილმოწყობაზე არავინ ფიქრობს. აქ ხშირად ნახავთ გაუვალ ტალახს. სოფელს არა აქვს კლუბი და კრების მოსაწვევი ბინა.

უარეს მდგომარეობაშია სოფელ თხინის სასოფლო საბჭო. აქ რამდენიმე წელია დაიწყო სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობის გამგეობის ორსართულიანი შენობის აგება, მაგრამ მის დამთავრებას ბოლო არ უჩანს. სანახევროდ აგებული შენობის კედლები ინგრევა, საშენი მასალა ლპება და ნადგურდება. სასოფლო საბჭო მოთავსებულია სკოლის შენობაში. კოლმეურნეობა „სიხარულის“ გამგეობა დროებით მოთავსებულია მისთვის სრულიად შეუფერებელ პატარა შენობაში. უბინაობის გამო სამკითხველო უმოქმედოდ არის.

ასეთივე მდგომარეობაა სოფელ აძუბეის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ კოლმეურნეობის გამგეობა მოთავსებულია სასკოლო შენობაში. გამგეობის შენობა, რომლის მხოლოდ კედლები აშენდა, ინგრევა. მშენებლობის დამთავრებაზე არავინ არ ფიქრობს.

საჭიროა რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ქმედითი ღონისძიება განახორციელონ იმისათვის, რომ ყველა სასოფლო საბჭოს, კოლმეურნეობას ჰქონდეს კეთილმოწყობილი კულტურული ცენტრი.

კ. ჯანჯულია,
ოჩამჩირის რაიონული გაზეთის „ბოლშევიკური გზის“ რედაქტორი.

კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი საბჭოთა არმიის მიერ კორეის განთავისუფლების მე-7 წლისთავთან დაკავშირებით

ფხენიანი, 10 აგვისტო. (საკდესი). დღეს კორეის ცენტრალურმა დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი დიდი საბჭოთა არმიის მიერ იაპონიის იმპერიალიზმის კოლონიური უღლისაგან კორეის განთავისუფლების მე-7 წლისთავთან დაკავშირებით.

მოწოდებანი აცხადებენ საყოველთაო-სახალხო მადლობას დიდი საბჭოთა ხალხისა და მისი ბელადის გენერალისიმუს სტალინისადმი — კორეელი ხალხის განმათავისუფლებლისა და საუკეთესო მეგობრისადმი.

— საბჭოთა კავშირისა და კორეის ხალხების მეგობრობა და სოლიდარობა, — ნათქვამია მოწოდებებში, — კორეის თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სამართლიანი აყვავების საწინდარია. გაუმარჯოს დიდი საბჭოთა კავშირისა და კორეის ხალხთა სამარადისო, უკვდავ ძმურ მეგობრობას.

მოწოდებანი ქება-დიდებას ასხამენ კორეის სახალხო არმიის გმირ მეომრებს, პარტიზანებს, რომლებიც ღირსეულად იცავენ სამშობლოს თავისუფლებას, დემოკრატიას, დამოუკიდებლობას განმათავისუფლებელ სამამულო ომში ამერიკელ ინტერვენტთა წინააღმდეგ.

მოწოდებანი გამარჯვებას უსურვებენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხთა ურღვევ საერთაშორისო სოლიდარობას ხანგრძლივი მშვიდობისათვის, კაცობრიობის უშიშროებისათვის ბრძოლაში, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ; კორეის მშრომელი ხალხის ავანგარდს — სახელოვან შრომის პარტიას, კორეელი ხალხის გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, კიმ ირ სენსა და მაო ძედუნს, მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხების ბრძენ ბელადს, კორეელი ხალხის განმათავისუფლებელსა და საუკეთესო მეგობარს გენერალისიმუს სტალინს.

ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გენერალური მდივნის განცხადება

ლონდონი, 9 აგვისტო. (საკდესი). ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გენერალურმა მდივანმა პეტ სლოუნმა განაცხადა, რომ ნოემბერში საზოგადოება გამართავს ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურს.

სლოუნმა განაცხადა: „ინგლისის მრავალ ნაწილში არსებული ჩვენი განყოფილებანი უკვე გეგმავენ თავიანთ საქმიანობას ნოემბრისათვის. ისინი აღნიშნავენ საბჭოთა სახელმწიფოს 35-ე წლისთავს და მოუწოდებენ ინგლისის მთავრობას იმოქმედოს ინგლისსა და სსრ კავშირს შორის კავშირის შესახებ 20 წლის ხელშეკრულების შესაბამისად.

შემდეგ სლოუნმა განაცხადა, რომ დიდი მიტინგები გაიმართება ბირმინჰამში, შეფილდში, აკრინგტონში, მანჩესტერსა და ლონდონში. საზოგადოებამ მიიწვია სსრ კავშირის დელეგაცია ესტუმროს ინგლისს ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის დროს.

შოტლანდია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ დაგეგმა მიტინგები აბერდინში, დანდში, ედინბურგში, კერკოლდსა და მოტერუელსში.

მშვიდობისათვის, ეროვნული სუვერენიზმისათვის!

ბრაზილიის კომუნისტური პარტიის ეროვნული კონფერენციის მოწოდება

მონტევიდეო, 9 აგვისტო. (საკდესი). ბრაზილიის კომუნისტური პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა გაზეთ „იმპრენსა პოპულარში“ გამოაქვეყნა მიმართვა ბრაზილიელი ხალხისადმი და მოუწოდა მას გააერთიანოს მოქმედება მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მოწოდებაში ნათქვამია: ბრაზილიაში სულ უფრო მეტად მწვავდება მდგომარეობა. ვარგასის მთავრობა ჩვენს მიწაწყალს ხელში უგდებს ამერიკელ მონოპოლისტებს და ყველაფერს აკეთებს, რათა ჩაბას ბრაზილია ყველა ომიდან ყველაზე სამარცხვინო ომში. კორეაში ბრაზილიის ჯარების გაგზავნის საშიშროება დღითიდღე მატულობს. ამავე დროს სამშობლოს მოღალატეები აჩქარებენ შეერთებული შტატების კოლონიად ჩვენი სამშობლოს გადაქცევას. ვარგასის მთავრობა, რომელიც ამერიკელ იმპერიალისტთა ბრძანებებს ემორჩილება, ცდილობს, რომ კონგრესმა დააჩქაროს შეერთებულ შტატებთან დადებული დანაშაულებრივი „სამხედრო შეთანხმების“ რატიფიკაცია, რომელიც ომისა და აგრესიის პაქტია. იგი მოითხოვს მოწონებულ იქნას „პეტრობრაზის“ (ნავთის შერეული კომპანიის „ბრაზილიის ნავთის“.— **რედ.**) შექმნის სამარცხვინო პროექტი, რომელიც ბრაზილიის ნავთს აძლევს კომპანია „სტანდარდ ოილს“, აჩაღებს პოლიციურ ტერორს იმათ წინააღმდეგ, ვინც იბრძვის მშვიდობისათვის, ეროვნული სუვერენიტეტის დასაცავად. მთავრობა იჩქარის მოაწყოს ხმის მიცემა კონგრესში საშინაო უშიშროების ახალი კანონის — ხალხის ჩაგვრისა და ტირანიის კანონის მისაღებად“.

შემდეგ ეროვნული კომიტეტი აღნიშნავს, რომ ომისათვის მზადების პოლიტიკისა და ბრაზილიაში ამერიკის მონოპოლიების ბატონობის შედეგად მატულობს შიმშილი და სიღატაკე. მეორე მხრივ, მატულობს ბრაზილიელი ხალხის გულისწყრომა სამშობლოს გამყიდველებისა და მათი ამერიკელი მბრძანებლების წინააღმდეგ. მიმდინარეობს ბრძოლა [illegible] ბისათვის ბრაზილიელი [illegible] ბის სისხლისა და ეროვნულ სიმდიდრეთა მიყიდვის წინააღმდეგ. 4,5 მილიონმა ბრაზილიელმა უკვე მოაწერა ხელი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. ასეულათასობით პატრიოტი გამოდის ბრაზილიის ნავთის სიმდიდრეთა დასაცავად. „ეს არის მთელი ერი: მუშები, გლეხები, ქალები, ახალგაზრდობა, პატრიოტები და დემოკრატები, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ შეხედულებას ემხრობიან და სხვადასხვა სოციალურ ფენას ეკუთვნიან. იგი ირაზმება და მზადდი ძალით იბრძვის მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სიღატაკისა და შიმშილის წინააღმდეგ, ღირსეული ცხოვრებისა და ბრაზილიის პროგრესისათვის“. ეროვნული კომიტეტი მოუწოდებს ყველა ბრაზილიელ პატრიოტსა და დემოკრატს ერთიანობისა და დარაზმულობისაკენ მშვიდობისათვის ბრძოლაში, ომის გამჩაღებლებისა და ამერიკის იმპერიალიზმის ლაქიების წინააღმდეგ, ბრაზილიის ომში ჩათრევის ცდების წინააღმდეგ, ბრაზილიელი ახალგაზრდობის კორეაში გაგზავნის წინააღმდეგ ბრძოლაში. „ჩვენ მოვითხოვთ, — ნათქვამია დასასრულ მოწოდებაში,—შეწყდეს ამერიკელ გენერალთა საშინელი მხეცობა კორეელი ხალხის წინააღმდეგ! ჩვენ მოვითხოვთ შეწყდეს ომი კორეაში, რაც საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისაკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება! ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ შევაგროვოთ ხუთი მილიონი ხელმოწერა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. განვამტკიცოთ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა! ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ხელი შევუშალოთ კონგრესის მიერ ბრაზილიისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო შეთანხმების რატიფიკაციას“.

მგკიცე მშვიდობისათვის მთელს მსოფლიოში!

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის შემდეგ

სოფია, 11 აგვისტო. (საკდესი). მთელ ბულგარეთში მიმდინარეობს მშრომელთა მასობრივი კრებები და მიტინგები, რომლებიც მიძღვნილია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტებისა და მშვიდობის მომხრეთა მესამე ეროვნული ყრილობისათვის მზადებისადმი. ამ კრებებისა და მიტინგების მონაწილენი მშვიდობის დაცვის ბულგარეთის ეროვნული კომიტეტის სახელზე გზავნიან წერილებსა და დეპეშებს, რომლებითაც ვალდებულებას კისრულობენ ახალი შრომითი გამარჯვებებით განამტკიცონ ამერიკელ-ინგლისელი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლა და განახორციელონ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის გადაწყვეტილებანი.

ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკელი იმპერიალისტების აგრესიული ომი კორეაში, წერენ თავიანთ დეპეშაში ქალაქ კარნობატის მშრომელები. ჩვენ, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის გადაწყვეტილებებით დაფრთოვანებულნი, მთელ ძალღონეს მოვახმართ მშვიდობისათვის ბრძოლას, იმისათვის ბრძოლას, რომ სადავო საკითხები მშვიდობიანად გადაწყდეს ყველა სახელმწიფოს თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ვალდებულებას ვკისრულობთ კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ ჩვენს სამშობლოში სოციალისტური მშენებლობა და ამით შევიტანოთ წვლილი დემოკრატიული ხალხების ბანკის—მთელი მსოფლიოს მშვიდობის მკვიდრი ბურჯის განმტკიცებაში.

პოლონეთის სახელმწიფო საბჭოს დადგენილება სეიმის არჩევნების შესახებ

ვარშავა, 9 აგვისტო. (საკდესი). ყველა პოლონურმა გაზეთმა გამოაქვეყნა სახელმწიფო საბჭოს დადგენილება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის არჩევნების დანიშვნის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს პოლონეთის პრეზიდენტი და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ბოლესლავ ბერუტი. არჩევნები მოხდება კვირას, 1952 წლის 26 ოქტომბერს.

საერთაშორისო მიმოხილვა

გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ

1 აგვისტოს ინგლისის თემთა პალატამ დაამტკიცა ბონის 26 მაისის სეპარატული ხელშეკრულება და პარიზის 27 მაისის ხელშეკრულება ინგლისსა და ევროპულ „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებას“ შორის.

ამ საკითხზე კამათი და კენჭისყრა მიმდინარეობდა ინგლისის საზოგადოებრიობის დიდი პროტესტების ვითარებაში, რადგან ინგლისის საზოგადოებრიობა ნათლად ხედავს, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებათა მიზანია გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება და ახალი მსოფლიო ომის გაჩაღება. ეს, არსებითად, ერთხელ კიდევ დაადასტურა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომელმაც თემთა პალატაში დაიცვა მთავრობის წინადადება ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის შესახებ. იდეონმა განაცხადა, „ევროპის გაერთიანებაში დასავლეთმა გერმანიამ აქტიური როლი უნდა შეასრულოსო“. მაგრამ უკანასკნელი ომების გამოცდილება გვიჩვენებს, თუ რა შედეგი მოსდევს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას.

ინგლისის რეაქციული პრესა ამაოდ ცდილობდა შეენიღბა ის ფაქტი, რომ 26 და 27 მაისის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის საკითხი თემთა პალატაში დაჩქარებით დაისვა შეერთებული შტატების მოთხოვნით, რომლებიც დაინტერესებული არიან რაც შეიძლება მალე აღადგინონ დასავლეთ გერმანიაში გერმანელ ფაშისტთა არმია, რადგან პენტაგონს განზრახვა აქვს ეს არმია დამკვრელ ძალად გამოიყენოს აგრესიულ ომში, რომელსაც ამზადებენ. ლეიბორისტმა კროსმენმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ სწორედ ამერიკის მთავრობამ გადადგმევინა ლონდონს ეს ნაბიჯი, რათა „გავლენა მოახდინოს პარიზსა და ბონზე“, დაჩქაროს ბონის ხელშეკრულების რატიფიკაცია, რომელიც უკვე მოიწონა ამერიკის სენატმა.

სავსებით ცხადია, რომ ინგლისის პარლამენტმა მილიტარისტული შეთანხმებანი დაამტკიცა, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელი ხალხი ამის წინააღმდეგია, რომ იგი უარყოფს ამერიკის გეზს — აღორძინდეს გერმანიის მილიტარიზმი, რომელიც სერიოზული საფრთხეა ინგლისის ეროვნული უშიშროებისათვის.

იმ მომენტში, როცა სხდომათა დარბაზში კამათი მიმდინარეობდა რატიფიკაციის საკითხზე, თემთა პალატის კულუარები ცარიელი როდი იყო. აქ ზედიზედ მოდიოდნენ მშრომელთა დელეგაციები, რომლებიც პარლამენტის წევრებისაგან მოითხოვდნენ უარი ეთქვათ ხელშეკრულებათა რატიფიკაციაზე. დისახლისების დელეგაციამ პარლამენტის წევრებს წარუდგინა პეტიცია, რომელშიც ნათქვამია, რომ დასავლეთ გერმანიის ახალი ფაშისტური ნახევარმილიონიანი არმიის შექმნა გააძლიერებს „მესამე მსოფლიო ომის საფრთხეს“. როგორც გაზეთი „დეილი უორკერი“ იუწყებოდა, 31 ივლისს შუადღიდან დელეგაციები განუწყვეტლივ მიდიოდნენ თემთა პალატაში.

ამ დღეებში მილიტარისტულ ხელშეკრულებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ პროტესტის ხმა გაისმოდა მთელ ინგლისში. კილმარნოკის (შოტლანდია) მუნიციპალური საბჭოს ლეიბორისტულმა ფრაქციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც დაგმო ბონის სეპარატული ხელშეკრულება, როგორც „ახალი ნაბიჯი ომის გზაზე“. ლეიბორისტმა დალტონმა თემთა პალატაში აღიარა, რომ თავის ამომრჩევლებისაგან მიიღო უამრავი წერილი, რომელთა ავტორები გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგი არიან.

გერმანიის რემილიტარიზაციის პოლიტიკის წინააღმდეგ ხალხის სულ უფრო გაძლიერებულმა საპროტესტო მოძრაობამ თავი იჩინა, როცა თემთა პალატაში კენჭი უყარეს ხელშეკრულებათა რატიფიკაციის საკითხს. რატიფიკაციას ხმა მისცა 293 კაცმა, წინააღმდეგ კი — 253 კაცმა. ამრიგად, ხელშეკრულებანი პალატამ დაამტკიცა უმნიშვნელო უმრავლესობის — 40 კაცის ხმით. ლეიბორისტულმა ფრაქციამ თავდაპირველად შეიტანა შესწორება, რომელიც მოითხოვდა გადადებულიყო რატიფიკაცია, როგორც „უდროო“, ხოლო შემდეგ, როცა შესწორება უარყვეს, ხალხის მასების ზეგავლენით ხმა მისცა რატიფიკაციის წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, ლეიბორისტული ხელმძღვანელობა, როცა ხელისუფლებას სათავეში ედგა, გერმანიის არმიის აღდგენის კურსს ისეთივე ენერგიით ახორციელებდა, როგორც ახლა ამას კონსერვატიული მთავრობა შვრება. მით უფრო დამახასიათებელია, რომ ლეიბორისტულმა ზედაფენამ ახლა უარი თქვა ხელშეკრულებათა რატიფიკაციაზე. ეს უარი იმას მოწმობს, რომ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების დამღუპველი პოლიტიკის წინააღმდეგ ლეიბორისტული პარტიისა და ტრედუნიონების რიგითი წევრების საპროტესტო მოძრაობა ახლა ისე გაძლიერდა, რომ ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობას არ შეუძლია ამას ანგარიში არ გაუწიოს, თუ არ უნდა საბოლოოდ დაკარგოს გავლენა მასებში.

ის ფაქტი, რომ ინგლისის მთავრობამ ძლივს მოახერხა მოეგროვებინა პარიზისა და ბონის ხელშეკრულებათა რატიფიკაციისათვის საჭირო ხმების რაოდენობა, მოწმობს, თუ რაოდენ ძლიერია ინგლისელი ხალხის გადაწყვეტილება—აღ დაუშვას ახალი მსოფლიო ომის გაჩაღება. ოკეანესგაღმა აგრესიული წრეების მთავარი რუპორი გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, ინგლისში მომხდარი რატიფიკაციის შედეგებს შეფასებას რომ აძლევს, ტყუილად კი არ აცხადებს მელანქოლიურად „აქ სასიხარულო მაინცდამაინც არაფერიაო“.

დანიისა და ნორვეგიის ოკუპაციის ამერიკული გეგმები

სკანდინავიის ქვეყნების საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია ნორვეგიასა და დანიაში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების განლაგების საკითხი. ეს საკითხი აჩესონმა დანიის საგარეო საქმეთა მინისტრის კრაფტის წინაშე აღძრა, როცა ისინი ერთმანეთს შეხვდნენ ლონდონში მიმდინარე წლის ივნისში. რამდენადაც ამ შეხვედრის დროს, როგორც უცხოეთის პრესა იუწყებოდა, კრაფტს ნორვეგიის მთავრობის რწმუნებანიც ჰქონდა, აჩესონის მოთხოვნა საავიაციო ბაზების გადაცემის შესახებ ნორვეგიასაც ეხებოდა.

საიდუმლოებას როდი წარმოადგენს, რომ ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ნორვეგიასა და დანიაში მიმდინარეობს საავიაციო ბაზების ინტენსიური მშენებლობა. ორივე ამ ქვეყნის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს მშენებლობა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის სარდლობის გეგმების შესაბამისად ხორციელდება.

9 ივლისს დანიის გაზეთი „ინფორმაშონი“ იუწყებოდა, რომ დანიას უკვე აქვს ორი აეროდრომი, რომლებიც გამოსადეგია იმისათვის, რომ რეაქტიული თვითმფრინავების ბაზებად გამოიყენონ. ეს ბაზები არის კარსა და ოლბორგში. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ 1 დეკემბრიდან მწყობრში ჩადგება სკრიუდსტრუპის აეროდრომი, რომელსაც აფართოებენ „იმ გეგმის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის სამხედრო-საჰაერო ბაზების შექმნას დანიაში“. იმავე გაზეთის ცნობით სკრიუდსტრუპის აეროდრომის გაფართოების შემდეგ შეუდგებიან კირსტუპის აეროდრომის გაფართოებას, რომელიც „აგრეთვე შედის ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის პროგრამაში“. დასასრულ „ინფორმაშონი“ იუწყება, რომ ვანდელისა და ვერლესის აეროდრომებთან ერთად დანიას ექნება ექვსი თანამედროვე სამხედრო-საჰაერო ბაზა.

არანაკლებ ინტენსიურად მიმდინარეობს აეროდრომების მშენებლობა ნორვეგიაშიც. როგორც ნორვეგიის პრესა იუწყება, აშენებულია ან ახლა შენდება დიდი აეროდრომები სულაში, ბუდეში, იარლსბერგში, ერლანდეტში, ჰარდერმუენში, რიუგეში, ლისტაში. ეს მრავალი აეროდრომი განკუთვნილია ამერიკელთა თვითმფრინავებისათვის. ამას სხვათა შორის ის ფაქტიც ადასტურებს, რომ დანიისა და ნორვეგიის სამხედრო-საჰაერო ბაზებს პერიოდულად უწევენ ინსპექტირებას ავიაციის სპეციალისტები რიჯუეის შტაბიდან. მაგალითად, ივლისის დამლევს შვიდი ამერიკელი მფრინავი პოლკოვნიკების ვილსონის, პეიჯისა და გუსტავსონის მეთაურობით ჩავიდა ნორვეგიაში, რათა მოეხდინათ ბუდის, ერლანდეტისა და სხვა პუნქტების აეროდრომების ინსპექტირება.

ამერიკელები მოითხოვენ, რომ მათი სამხედრო-საჰაერო ძალები განლაგებულ იქნას დანიისა და ნორვეგიის ტერიტორიაზე, რაც ამ ორი ქვეყნის საზოგადოებრიობის ფართო წრეების ძლიერ უკმაყოფილებას იწვევს. დანიის გაზეთი „ლანდ ოგ ფოლკის“ ცნობით, ნავსადგურის მუშათა პროფკავშირის გამგეობამ დანიის მთავრობას გაუგზავნა მიმართვა, რომლითაც მოუწოდებს მას არ გადასცეს ამერიკის შეერთებულ შტატებს სამხედრო ბაზები დანიის ტერიტორიაზე. 33 რიგითმა ჯარისკაცმა, რომლებმაც სამი კვირის სამხედრო მომზადება გაიარეს, შინ წასვლის წინ პროტესტი განაცხადა ამერიკელთა მოთხოვნის წინააღმდეგ, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება დანიის ეროვნულ სუვერენიტეტს შელახავს. ნორვეგიის გაზეთი „დაგენინგენი“, ილუშტრებს რა ნორვეგიაში ამერიკელთა ჯარების განლაგების წინააღმდეგ, აცხადებს, რომ „აქ განლაგებულ ამერიკელთა ჯარებს... კარგად არ მიიღებენ. არის საშიშროება, რომ ეს გააძწვავებს უთანხმოებას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“.

დანიის საზოგადოებრიობა გადაჭრით გმობს დანიის მმართველი წრეების პოზიციას, რომლებიც, მთავრობის 1949 წლის დაპირების წინააღმდეგ, რომ უცხოეთის ბაზების საკითხი არ იენებოდა დასმული, ამჟამად განიხილავენ დანიაში ამერიკელთა ჯარების განლაგების საკითხს. ეს აშკარად განაცხადა ტრუმენმა კონგრესმენებისადმი წერილში, რომელიც ვაშინგტონში გამოქვეყნდა 25 ივლისს. ამ წერილის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით დანიის რადიკალური პარტიის ფრაქციამ რიკსდაგში 3 აგვისტოს პროტესტი განაცხადა ამერიკელებისათვის დანიის ბაზების განზრახული გადაცემის წინააღმდეგ. რადიკალური პარტია მტკიცედ მოითხოვს, რომ დანიისათვის ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი წინასწარ განიხილოს დანიის რიკსდაგმა.

ნორვეგიისა და დანიის საზოგადოებრიობა სულ უფრო ერკვევა, რომ ამერიკელთა მოთხოვნები ბაზების გადაცემის შესახებ იმას მოასწავებს, რომ ისინი ცდილობენ მოახდინონ ამ ქვეყნების ოკუპაცია და საბოლოოდ წაართვან მათ ეროვნული დამოუკიდებლობა, რომელიც უკვე შეარყია ამ ქვეყნების მონაწილეობამ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში. ამავე დროს ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება კიდევ უფრო გააძლიერებს ომის საფრთხეს ევროპაში. აქედან გამომდინარეობს ნორვეგიელი და დანიელი ხალხების მისწრაფება — მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიონ ოკეანესგაღმელი იმპერიალისტების თავხედურ პრეტენზიებს.

(დასასრული მ

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 9 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა:

კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად ფრონტის ცალკე უბნებზე განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ და ზარალს აყენებდნენ მას.

დასავლეთის ფრონტზე იუნგოკის რაიონში მოწინააღმდეგემ ავიაციისა და ტანკების დახმარებით დღის განმავლობაში 14-ჯერ მოიტანა იერიში ჩვენს პოზიციებზე, მაგრამ იძულებული გახდა უკან დაეხია და ბრძოლის ველზე დატოვა 200 მოკლული.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ და მტრის თვითმფრინავთა გამანადგურებელი რაზმების მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 3 თვითმფრინავი და დააზიანეს 5 თვითმფრინავი.

ფხენიანი. 10 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 10 აგვისტოს გამოაქვეყნა ცნობა:

განვლილი დღის მანძილზე სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ სახალხო მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ ჩხოლვონის რაიონში.

გუშინ ღამით ამერიკელმა აგრესორებმა გამოიყენეს „ბ-29“ მარკის 45 თვითმფრინავი და მხეცურად დაბომბეს ფხენიანის მშვიდობიანი დასახლებული უბნები. მოკლული და დაჭრილია ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელი რაზმების მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 5 და დაზიანეს 3 თვითმფრინავი.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 9 აგვისტო. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების მონაწილე შტაბის ოფიცერთა დღევანდელ სხდომაზე ამერიკელებმა კიდევ უფრო ქედმაღლური პოზიცია დაიკავეს და უარყვეს ამ უკანასკნელ დროს მათ მიერ ჩადენილი ორი დარღვევა შეთანხმებისა პანმინჯონის მოლაპარაკების რაიონის ნეიტრალიტეტის შესახებ.

ამერიკის მეკავშირე ოფიცერი რობინსონი დღეს სრულიად უსაფუძვლოდ უარყოფდა იმ ფაქტს, რომ 4 აგვისტოს ამერიკის თვითმფრინავებმა გადაუფრინეს მოლაპარაკების ადგილს. მან კვლავ უარი თქვა ერთობლივად გამოძიათ ამერიკელთა მიერ 2 აგვისტოს მოლაპარაკების რაიონისთვის ცეცხლის დაშენის საკითხი.

კორეისა და ჩინეთის მხარის მეკავშირე ოფიცერმა პოლკოვნიკმა ჩან ჩუნ სანმა დაგმო ამერიკელთა უპასუხისმგებელი პოზიცია და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკელები თავს ვერ დააღწევენ პასუხისმგებლობას.

სინხუას საგენგზო ამხიღებს ამერიკელ აგრესორთა დანაშაულებრივ ზრახვებს

პეკინი, 10 აგვისტო. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან გადმოგცემს:

ამერიკის მე-5 ავიაშენაერთის სარდლობამ 5 აგვისტოს გამოაცხადა, რომ იგი დაიწყებს კორეის ჩრდილოეთ ნაწილში 78 მშვიდობიანი ქალაქის სასტიკ დაბომბვას. ეს განცხადება დაემთხვა ხანგრძლივი შეწყვეტის ტაქტიკის გამოყენებით დაზავების შესახებ მოლაპარაკების ამასწინანდელ გაჭიანურებას. ეს გადაწყვეტილება მთელ მსოფლიოს უჩვენებს, თუ რა ნაკლებად არიან ამერიკელები დაინტერესებულნი დაზავების შესახებ მოლაპარაკებით, რომელზეც ყველა ხალხი დიდ იმედს ამყარებს, აგრეთვე მოწმობს იმას, რომ ამერიკელი აგრესორები ისწრაფვიან გაფფრთოთონ კორეის ომი და განაგრძონ კორეელ მოქალაქეთა მასობრივი მკვლელობა, რაც უმაგალითოა ისტორიაში. ამ ახალმა სისხლიანმა გეგმამ მთელ მსოფლიოში აღშფოთება გამოიწვია.

ამხილებს რა ამერიკის სამხედრო ხროვის ცდებს — დახლართოს საკითხი და დააჯეროს ადამიანები, ჩრომ ამ ავაზაკური გეგმის ნამდვილი მიზანია არა ის, რომ ეენევის კონფერენციის დარღვევით, დახოცოს უფრო მეტი მშვიდობიანი მცხოვრები და დაანგრიოს უფრო მეტი მშვიდობიანი ქალაქი, არამედ ის, რომ „მოსპოს სამხედრო ობიექტები“, სინხუას საგენტოს კორესპონდენტი განაგრძობს:

ის, რასაც ამერიკელები „სამხედრო ობიექტების დაბომბვას“ უწოდებენ, სხვა არა არის რა, თუ არა მშვიდობიანი ქალაქების დანგრევა და სრულიად უმიზეზოდ მშვიდობიანი მოსახლეობის დახოცვა. ამერიკელებმა ბარბაროსული დაბომბვის გეგმის გამოცხადების შემდეგ კვლავ მიმართეს თავიანთ ყალბ სიტყვას „სამხედრო ზეგავლენის“ შესახებ და ცდილობენ კორეისა და ჩინეთის მხარეს მიაღებინონ მათი დაუსაბუთებელი წინადადებანი. მათ თვითონ ძალიან კარგად იციან, რომ მათი დიდი ხნის წინათ მხილებული „სამხედრო ზეგავლენა“ ვერასოდეს ვერ შეცვლის კორეისა და ჩინეთის მხარის მტკიცე პოზიციას. სავსებით ცხადია, რომ ამ ეგრეთწოდებული „სამხედრო ზეგავლენის“ მიზანი ის არის, რომ ჩაშალოს მოლაპარაკება დაზავების შესახებ და გაფაფრთოოს კორეის ომი. ამას ამტკიცებს ყველა ამასწინანდელი პროვოკაცია და ავანტიურა: მოლაპარაკების ხანგრძლივი შეწყვეტა, რაც ჰარისონმა მოითხოვა, და ნეიტრალური ზონის შესახებ შეთანხმების უკანასკნელი დარღვევები—ნეიტრალური ზონისათვის სროლის ატეხა და დღისით ნეიტრალური ზონის თავზე ფრენა; ნეიტრალური ზონით კორეისა და ჩინეთის ჯარების პოზიციებზე საიდუმლო აგენტების შემოგზავნა სამხედრო ინფორმაციის შესაგროვებლად; შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის მაშველი ძალების ამასწინანდელი გაგზავნა; მდინარე იალუძიანზე ელექტროსადგურების დაბომბვა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში ამერიკის თვითმფრინავების შემოვრა, რაც დღემდე გრძელდება, და, ბოლოს, ფხენიანის უწესრიგო დაბომბვა და განცხადება კორეის ჩრდილოეთ ნაწილში 78 ქალაქის მასობრივი დაბომბვის მოწყობის შესახებ.

მეთვალყურეები კესონში აცხადებენ, რომ სასტიკი დაბომბვის ეს გეგმა, რომელიც ამერიკელებმა შეადგინეს, არა თუ დაეხმარება მათ მიაღწიონ იმას, რასაც კონფერენციის მაგიდასთან ვერ მიაღწიეს, არამედ გარდუვალად გამოიწვევს მთელი მსოფლიოს ხალხთა უფრო მეტ აღშფოთებას, უფრო მეტ წინააღმდეგობასა და დაგმობას.

საერთაშორისო მიმოხილვა

(დასასრული, დასაწყისი იხ. მე-3 გვ.)

იმპერიალისტების ოინები და შუღლი ახლო აღმოსავლეთში

არაბული ქვეყნებისა და ისრაელის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს იმას, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობს ინგლისის ხმელთაშუა ზღვის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდალი ადმირალი მაუნტბეტენი. ინგლისის ადმირალი უკვე იყო ტრანს-იორდანიაში, სირიაში, ლიბანსა და ისრაელში. ამ სახელმწიფოების დედაქალაქებში მას საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდა მთავრობების მეთაურებთან, საგარეო საქმეთა მინისტრებთან, ადგილობრივი არმიების მთავარსარდლებთან და გენერალური შტაბების უფროსებთან. არაბული ქვეყნებისა და ისრაელის პრესა აღნიშნავს, რომ მოლაპარაკებას, რომელსაც მაუნტბეტენი აწარმოებს, სამხედრო-პოლიტიკური ხასიათი აქვს და მჭიდროდ არის დაკავშირებული ახლო და შუა აღმოსავლეთის სახელმწიფოთა აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნის გეგმებთან, ბლოკისა, რომელიც ცნობილია „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ სახელწოდებით.

ეგვიპტის გაზეთ „ალ-მისრის“ ბეირუთელი კორესპონდენტი იუწყება, რომ, როგორც გამოირკვა, მაუნტბეტენი ლიბანის პრეზიდენტთან საუბარში გაეცნო, თუ რა პოზიცია უკავია ლიბანის მთავრობას შუა აღმოსავლეთის სამხედრო ბლოკის შექმნის პროექტის საკითხში.

კაიროს გაზეთი „ეურნალ დ' ეგიპტი“ აგრეთვე იუწყება, რომ მოლაპარაკება, რომელსაც ინგლისელი ადმირალი ბეირუთში აწარმოებდა, ეხებოდა შუა აღმოსავლეთის სამხედრო კავშირის შექმნის საკითხს.

ისრაელში მაუნტბეტენის დარბაზობის წინ გაზეთ „ტაიმსის“ ტელავიველი კორესპონდენტი წინასწარმეტყველებდა, რომ ინგლისელი ადმირალი ისრაელის ლიდერებთან განიხილავს „რეგიონალური თავდაცვის ზოგიერთ პრობლემას“.

მაგრამ ისრაელის პრესას მიაჩნია, რომ მაუნტბეტენის დარბაზობა უფრო დაკავშირებულია ხმელთაშუა ზღვის აუზში ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობებთან. გაზეთი „გაარეცი“ აღნიშნავს: ის, რომ ამას წინათ მაუნტბეტენი დანიშნა ინგლისის ხმელთაშუა ზღვის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდლად, არის მანევრი, რომელიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ „ხმელთაშუა ზღვაში უმაღლესი სარდლობა ინგლისელებს გადაეცეთ“. გაზეთი შემდეგ იმ აზრს გამოთქვამს, რომ მაუნტბეტენის მოგზაურობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში დაკავშირებულია ინგლისის ცდებთან—მიიღოს ამ ქვეყნების მხარდაჭერა იმ დავაში, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის წარმოებს ხმელთაშუა ზღვის რაიონში უმაღლესი მთავარსარდლის პოსტისათვის.

ამ კომენტარების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მაუნტბეტენის მოგზაურობის მიზანია არა მარტო შეიტყოს, თუ როგორ ეკიდებიან არაბული ქვეყნები და ისრაელი „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ შექმნის გეგმებს, არამედ ნიადაგი მოამზადოს იმისთვისაც, რომ თუ ეს გეგმა განხორციელდა, ახლო და შუა აღმოსავლეთში ახალი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ხელმძღვანელობა ინგლისმა ჩაიგდოს ხელში.

ი. ზვიაგინი.

გამალებული საომარი მზადების წინააღმდეგ

ბელგიელ მშრომელთა საყოველთაო გაფიცვა

ბრიუსელი, 10 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბელგიაში გაიმართა 24 საათის საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა სამხედრო სამსახურის ვადის გადიდების წინააღმდეგ. გაფიცვასთან დაკავშირებით ბელგიის კომპარტიამ გაავრცელა ფურცლები, რომლებითაც ყველა მშრომელს, განურჩევლად პოლიტიკური რწმენისა, მოუწოდებს ერთიანი მოქმედებისაკენ მშვიდობისათვის, ომისათვის მზადების პოლიტიკის წინააღმდეგ, სამხედრო სამსახურის ვადის გადიდების წინააღმდეგ ბრძოლაში, სამხედრო სამსახურის ვადის გადიდების საწინააღმდეგო დემონსტრაციის მონაწილე დაპატიმრებულ ჯარისკაცთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

გაფიცვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბრიუსელის, ლიეჟის, გენტის, შარლერუას და ბელგიის ბევრი სხვა ქალაქისა და სამრეწველო ცენტრის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებმა. საყოველთაო გაფიცვამ აქტიურად ჩაიარა ანტვერპენში, სადაც მუშაობა შეწყვიტა ნავსადგურისა და გემთშემკეთებელი სახელოსნოების 15 ათასმა მუშამ. გაფიცულთ შეუერთდნენ აგრეთვე ნავსადგურში მყოფი მეზღვაურები. ლიმბურგის პროვინციაში გაფიცულია 5 ათასი მეშახტე. ბევრ ქალაქში გაფიცული არიან ტრამვაის მუშაკები. ამის შედეგად შეწყდა ტრამვაის მიმოსვლა ლიეჟ-ლიმბურგის, ლიეჟ-ტონგრის, სპა-ვერვიეს და სხვა ხაზებზე. გაფიცვაში ფართო მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ბელგიის რკინიგზელებმა, რომლებიც, მიუხედავად გამოშვული პროფკავშირული ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებისა გაფიცვის შეწყვეტის შესახებ, გამოვიდნენ ქალაქების ქუჩებში, რათა პროტესტი განეცხადებინათ სამხედრო სამსახურის ვადის გადიდების წინააღმდეგ, მილიტარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ.

დღეს ბრიუსელში გაიმართა მრავალათასიანი დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბრიუსელის, ანტვერპენის, გენტის, ლიეჟის, ნამიურის და ბელგიის სხვა ქალაქების მუშა-მოსამსახურეებმა და ახალგაზრდობამ. დემონსტრანტებს მიჰქონდათ პლაკატები, რომლებიც მოითხოვდნენ სამხედრო სამსახურის შემცირებას, დაატიმრებულ ჯარისკაცთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. დემონსტრაციის მონაწილენი მღეროდნენ „ინტერნაციონალს“ და წარმოთქვამდნენ ლოზუნგს „გაუმარჯოს მშვიდობას“. ახალგაზრდობის ჯგუფს მიჰქონდა ფერადი პლაკატი: „მდიდრებს შვილები შინ უსხედან, ხოლო მუშების შვილები ყაზარმებში არიან“.

კოალიციური წვიმის მიუხედავად, დემონსტრანტების კოლონებმა ორგანიზებულად გაიარეს ბრიუსელის ცენტრალური ქუჩები.

დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ ფლამანდური თეატრის შენობაში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი.

მემარჯვენე სოციალისტური პროფკავშირული ლიდერების გამოსვლებმა, რომლებიც შეიცავდნენ უხეშ გამოხდომას სსრ კავშირისა და კომპარტიის წინააღმდეგ, გამოიწვია მიტინგის მონაწილეთა მტკიცე პროტესტები. გაისმა შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“.

მიტინგის მონაწილენი ფეხზე დგებიან და „ინტერნაციონალს“ მღერიან.

გაზეთი „პეპლი“ იუწყება, რომ საომარი მზადების წინააღმდეგ ხალხმრავალი საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე ანტვერპენში, შარლერუაში, ნამიურში, ლა-ლუვიერში და ბელგიის ბევრ სხვა ქალაქში.

პარიზი, 9 აგვისტო. (საკდესი). საღამოს გაზეთმა „სე სუარმა“ გამოაქვეყნა თავისი ბრიუსელელი სპეციალური კორესპონდენტის ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ყველაზე ორგანიზებულად გაფიცა მომდინარეობს ბრიუსელის, შარლერუას, მონსის საწარმოებში და მთელ ვალონიაში.

ლიეჟში მუშაობა შეწყვიტა 100 ათასმა მშრომელმა. ქალაქში დაიხური ყველა დიდი მაღაზია, შეწყვა ტრამვაისა და ტროლეიბუსის მამოსვლა. სრულიად პარალიზებულია ანტვერპენის ნავსადგური, სადაც დღეს არც ერთი გემი არ იცლება.

პროვინციების გაფიცულ მუშათა ათასობით დელეგატი დილიდანვე ჩადის ქალაქ ბრიუსელში, რათა მონაწილეობა მიიღოს დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაციაში, რომელიც მიმდინარეობს ლოზუნგით: „ძირს ორი წლის სამხედრო სამსახური“! ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები იმართება აგრეთვე ბელგიის სხვა ქალაქებში.

გაძლიერდა მშრომელების — კომუნისტებისა და სოციალისტების მოქმედების ერთიანობა. ყოველგან კრებებზე და მანიფესტაციებში ბელგიელი მშრომელები აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადწყვეტილი ხელი შეუშალონ ბელგიის მილიტარიზაციას და მიაღწიონ იმ ჯარისკაცთა განთავისუფლებას, რომელსაც სდევნიან სამხედრო სამსახურის ვადის გადიდების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

მემარჯვენე ბურჟუაზიული საღამოს გაზეთები „მონდი“ და „ფრანს-სუარი“ აგრეთვე აღიარებენ ვალონიაში, ბრიუსელში, ლიეჟში, ანტვერპენსა და ბელგიის სხვა ქალაქებში გამართული გაფიცვის ფართო მასშტაბს.

ბანაჩენი ამერიკის ჯაშუშთა ჯგუფის საქმეზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 9 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში დღეს დამთავრდა პროცესი ჯაშუშურ-ტერორისტული ბანდისა ვოლფანგ კაიზერის, იოაჰიმ მიულერის, ანა მიულერისა და კურტ ჰოპეს შემადგენლობით.

პროცესის მსვლელობაში უდავოდ იქნა დამტკიცებული რომ ბრალდებულებს ჩადენილი აქვთ მძიმე დანაშაულობანი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამერიკის დაზვერვის მითითებით, რომლის სამსახურშიც ისინი იმყოფებოდნენ, დამნაშავენი სჩადიოდნენ ტერორისტულ და დივერსიულ აქტებს, აგროვებდნენ საიდუმლო ინფორმაციას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ და ეწეოდნენ დანაშაულებრივ პროპაგანდას მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ.

დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ მიუსაჯა: ვოლფანგ კაიზერს—სიკვდილი, იოაჰიმ მიულერს—სამუდამო პატიმრობა, კურტ ჰოპეს — 15 წლის პატიმრობა და ანა მიულერს — ათი წლის პატიმრობა.

ირანის სენატში

თეირანი, 10 აგვისტო. (საკდესი). სენატორებმა ლესანმ, მატინ დაფტარიმ, ფაროჰ სადიკმა, აგრეთვე ტაბატაბაიმ სენატის ღია სხდომაზე, რომელიც 9 აგვისტოს გაიმართა, ჯალაშქრეს იმის წინააღმდეგ, რომ დამტკიცებულ იქნას შეჯლისის მიერ მიღებული კანონპროექტი პრემიერ-მინისტრ მოსადიკისათვის საგანგებო რწმუნებათა მინიჭების შესახებ.

მატინ დაფტარის აზრით, საგანგებო რწმუნებანი მოსადიკს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიენიჭოს, თუ კანონპროექტის ტექსტს დაემატება, რომ იმ პროექტებსა და ღონისძიებებს, რომლებსაც პრემიერ-მინისტრი განახორციელებს, წინასწარ მოიწონებენ ირანის პარლამენტის „ორივე პალატის კომპეტენტური კომისიები“.

სენატის გუშინდელი ღია სხდომა დამთავრდა იმით, რომ მიღებულ იქნა მატინ დაფტარის წინადადება — გადადებულ იქნას კამათი კანონპროექტის საკითხზე და წინადადება მიეცეს მოსადიკს პირადად მისცეს სენატს განმარტება ამ საკითხის არსზე თავის წინანდელი და ახლანდელი შეხედულების შესახებ.

სენატის შემდეგი სხდომა დანიშნულია 11 აგვისტოს.

დეზერტირობა კორეაში გასაგზავნ იაპონელთა ნაწილებში

ტოკიო, 10 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „აკახატას“ ცნობით, ამერიკის სამხედრო პოლიციამ იგლისის დამლევს დაატიმრა პოლიციის სარეზერვო კორპუსის 6 წევრი, რომლებმაც ბანაკი დატოვეს, რათა თავი დაეღწიათ კორეაში გაგზავნისათვის.

დეზვერვა „ნოეს კიდობნის“ ძებნის საბაბით

პარიზი, 10 აგვისტო. (საკდესი). პარიზის რადიო გადმოგვცემს: ანკარიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთის „ექსპედიციამ“ დაიწყო არარატზე ასვლა. „ექსპედიციის“ უფროსებს თან ახლავს თურქეთის სამთო კორპუსის ქვეგანყოფი. ექსპედიციის მიზანია „ნოეს კიდობნის ნაშთების ძიება“.

თბილისი. ქალაქის ხედი კომკავშირის ხეივნიდან. ფოტო ვ. გინზბურგისა.

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

გაიხსნა X საჭადრაკო ოლიმპიადა

ჰელსინკი, 9 აგვისტო. (საკდესი). დღეს ჰელსინკში უმაღლესი კომერციული სასწავლებლის ბანაკში ზეიმით გაიხსნა X საჭადრაკო ოლიმპიადა —ჭადრაკში მსოფლიო გუნდური პირველობის გათამაშება. შეჯიბრებაში მონაწილეობენ 25 ქვეყნის გუნდები. პირველობა გათამაშდება ორ ეტაპად. ჯერ ყველა გუნდი გაიყოფა სამ ნახევარსაფინალო ჯგუფად, შემდეგ კი ის გუნდები, რომლებიც თავიანთ ჯგუფებში პირველ სამ ადგილს დაიკავებენ, ერთმანეთს შეხვდებიან მთავარ საფინალო ტურნირში. ამრიგად ფინალში მონაწილეობას მიიღებს 9 გუნდი. ყველა იმ გუნდის ადგილების გამოსარკვევად, რომლებიც მთავარ საფინალო ტურნირში ვერ მოხვედებიან, დამატებით მეწყობა ორი ტურნირი.

დღეს მომხდარმა წილისყრამ შემდეგი შედეგები მოგვცა: პირველი ჯგუფი —ჩეხოსლოვაკია, ისლანდია, არგენტინა, დანია, დასავლეთი გერმანია, კუბა, ლუქსემბურგი, დიდი ბრიტანეთი, საარი.

მეორე ჯგუფი: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ბრაზილია, ნორვეგია, უნგრეთი, იტალია, იუგოსლავია, შვეიცარია, ავსტრია.

მესამე ჯგუფი: ჰოლანდია, ფინეთი, საბერძნეთი, საბჭოთა კავშირი, ისრაელი, შვეიცარია, პოლონეთი, ამერიკის შეერთებული შტატები.

ხვალ პირველ ტურში საბჭოთა კავშირის გუნდი შეხვდება ისრაელის გუნდს. ყველა მატჩი გათამაშდება ოთხ დაფაზე. თვითეულ გუნდს ჰყავს ორი სათადარიგო მოჭადრაკე. შეჯიბრების მონაწილეთა შორის ბევრია მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე. საბჭოთა გროსმაისტერებს—კერესს, სმისლოვს, ბოროშტეინს, გელერს, ბოლესლავსკისა და კოტოვს გარდა, ჰელსინკში ითამაშებენ გროსმაისტერები რეშევსკი (ამერიკის შეერთებული შტატები), ნაიდორფი (არგენტინა), შტალბერგი (შვეცია), საბო (უნგრეთი), აგრეთვე ბევრი საერთაშორისო ოსტატი.

ჰელსინკი, 10 აგვისტო. (საკდესი). დღეს, 14 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით უმაღლესი კომერციული სასწავლებლის დარბაზში დაიწყო მე-10 საჭადრაკო ოლიმპიადის პირველი ტური. საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდნენ ისრაელის გუნდს. ამ მატჩმა მიიპყრო დარბაზში მყოფი თითქმის ყველა მაყურებლის ყურადღება. ისრაელის მოჭადრაკეები ძლიერ კარგად თამაშობდნენ ყველა დაფაზე და საბჭოთა გროსმაისტერებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. 5 საათის თამაშს შედეგი არ მოჰყოლია.

შესვენების შემდეგ გროსმაისტერმა გელერმა ზუსტი თამაშით გამოიყენა თავისი უპირატესობა ალონის წინააღმდეგ პარტიაში და 62-ე სვლაზე გამარჯვება მოიპოვა. მალე გროსმაისტერმა ბრონშტეინმა ენერგიული თამაშით საბჭოთა კავშირის გუნდს მეორე ქულა შესძინა. სმისლოვ-ორენის პარტია ყაიმით დამთავრდა. კერეს-ჩერნიაკის პარტია შვიდი საათის თამაშის შემდეგ შეწყდა. საბჭოთა გროსმაისტერს რამდენადმე უკეთესი მდგომარეობა აქვს.

ეს პარტია ხვალ დილით გათამაშდება.

ამრიგად, ახლა მატჩის ანგარიშია 2,5:0,5 საბჭოთა კავშირის გუნდის სასარგებლოდ და ერთი გადადებული პარტია.

ჰოლანდიამ მოუგო ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს ანგარიშით 2,5:1,5. ფინეთმა მოუგო პოლონეთს ანგარიშით 3:1, საბერძნეთი დამარცხდა შვეიცარიასთან მატჩში ანგარიშით 1:3.

ხვალ დილით 10-დან 12 საათამდე მოხდება გადადებული პარტიების გათამაშება, 14 საათსა და 30 წუთზე კი დაიწყება მეორე ტური.

თვითმოქმედი წრეების ხელმძღვანელთა სასწავლებელი

მიმდინარე სასწავლო წლიდან ქალაქ თბილისში გაიხსნება მზატვრული თვითმოქმედი კოლექტივების ხელმძღვანელთა მოსამზადებელი სასწავლებელი, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის გამგებლობაშია.

სასწავლებელთან სამი განყოფილება იქმნება: მუსიკალური, ქორეოგრაფიული და თეატრალური. მუსიკალური განყოფილება მოამზადებს მომღერალთა გუნდების ხელმძღვანელებს (ლოტბარებს), ქორეოგრაფიული განყოფილება — ქორეოგრაფებს, მოცეკვავეთა წრეების ხელმძღვანელებს (რეჟისორებს), ხოლო თეატრალური — დრამატული წრეების ხელმძღვანელებს (რეჟისორებს).

აღნიშნული სასწავლებელი იძლევა სამუალო სპეციალურ განათლებას. სწავლის კურსი ოთხწლიანია.

ახალი ამბები

⊙ **ქალაქის წყალსადენის ჭიელში** ბულაჩაურის წყალის გაშვების წინ სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ბრიგადები შეუდგნენ მილსადენის ბოლო უბნებზე წყალის ანალიზს და მილსადენის დეზინფექციის.

⊙ **თბილისის საბჭოს აღმასკომმა** მიიღო დადგენილება თბილისში განათლებისა და საყოფაცხოვრებო საჭიროებათათვის მოსახლეობის მიერ ელექტროენერგიით სარგებლობის ახალი წესის შემოღების შესახებ. თელასს დაავალებელი აქვს უზრუნველყოს მოსახლეობისათვის ახალი წესის გაცნობა.

⊙ **დამთავრდა მიასნიკოვის ჭიჭის** მოასფალტება ბოლო უბანზე 300 არაგველის პარკამდე (ორთოჭალა). ამჟამად ჭიჭის მოასფალტება მიმდინარეობს ბალნეოლოგიური კურორტის ზონაში.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — ვაშენოთ სწრაფად, იაფად, მაღალხარისხოვნად.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის ზეიმი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მეორე გვერდი — გადაჭრით აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი მუშაობაში (ქ. თბილისის მოლოტოვის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე).

ა. კუმარიტოვი — სანამდე მივაყვანართ მანქანების მოცდენას. ი. ქორთუა — როცა აგრონომ ექნიკას არ აფასებენ.

„პრავდის“ 11/VIII მოწინავე — რაიონული და საქალაქო პარტიული კონფერენციები.

ამერიკაკავკასიის რესპუბლიკებში.

მესამე გვერდი — გავაძლიეროთ მშენებლობის ტემპი რუსთავში (ამერიკაკავკასიის მეტალურგშენის ტრესტის სამეურნეო აქტივის კრებაზე).

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე

საქართველოს რადიოინფორმაციის 13 აგვისტოს გადაცემათა პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის ხატრანსლაციო ქსელით: 06.25 — სიმღერები მშვიდობაზე; 07.20 — შალვა მშველიძის პოემა „მინდია“; 09.20 — არუთინიანის „კანტატა სამშობლოზე“; 11.00 — — ნაწყვეტები გლინკას ოპერა „ივან სუსანინიდან“; 12.15 — მოლდაველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები და მოლდავური ხალხური სიმღერები; 12.45 — ქართული ხალხური სიმღერები; 17.15 — გუნოს ბალეტი „ვალპურგის ღამე“; 17.40—გადაცემა მოსწავლეთათვის — ქართველი პოეტების ლექსები სამშობლოზე; 18.15—რიმსკი-კორსაკოვის სიმფონიური პოემა „შეხერეზადა“; 19.20—გლიუკის და ვენიავსკის საციოლინო ნაწარმოებები; 19.45 — გადაცემა მრეწველობის მუშაკთათვის. საუბარი: „ახალი სამრეწველო პროდუქცია მოსახლეობას“.

რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის ხატრანსლაციო ქსელით: 20.30 — ქალაქის ქსელთ — ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები; რადიოსადგურებით— გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. 20.45 — ქართული ხალხური სიმღერები და საცეკვაოები მარიამ არჯევანაშვილის შესრულებით; 21.00 — საუბარი: „დასავლეთ გერმანიაში“; 22.30 — ლიტერატურული გადაცემა — „ლექსები მშვიდობაზე“; 22.50 — კონცერტი მოძმე რესპუბლიკების ხელოვნების ოსტატთა შესრულებათ; 00.05 — საესტრადო მუსიკის კონცერტი.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სრულიად საკავშირო დაუსწრებელი საღრიცხვო კურსების (ვზუკი) საქართველოს ფილიალი აცხადებს, რომ იხსნება კოლმეურნეობათა ბუხჰალტრების მომზადების ახალი განყოფილება.

ამ განყოფილებაზე მიიღებიან კოლმეურნეობის მოანგარიშეები (ბუხჰალტრები), რომლებსაც აქვთ დამთავრებული საშუალო განათლება და კოლმეურნეობაში საანგარიშო მუშაობის სულ მცირე 1 წლის სტაჟი, და ის პირნი, რომლებსაც აქვთ განათლება არანაკლებ საშუალო სკოლის 7 კლასისა და კოლმეურნეობაში საანგარიშო მუშაობის სულ მცირე 3 წლის სტაჟი.

კურსებზე კოლმეურნეობათა მოანგარიშეების (ბუხჰალტრების) ჩარიცხვა წარმოებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განაწილებით, კოლმეურნეობათა გამგეობების მიგლინებით. სწავლების ხანგრძლივობა 18 თვეა, წარმოებისაგან მოწყვეტლივ. სწავლის ფულის პირველი ნახევარი 350 მანეთის ოდენობით გადარიცხულ უნდა იქნას „ვზუკის“ საქართველოს ფილიალის ანგარიშზე № 75108 სახბანკის საქართველოს კანტორაში.

ჩარიცხვის უკანასკნელ ვადად დაწესებულია 1 სექტემბერი.

საჭირო ცნობების მიღება შეიძლება სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებაში ან „ვზუკის“ საქართველოს ფილიალში—ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. 2.

თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი აცხადებს **კონკურსს** შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

ინგლისური ენის კათედრის გამგე — პროფესორი ან დოცენტი — 1, ფრანგული ენის კათედრის გამგე — პროფესორი ან დოცენტი — 1, გერმანული ენის კათედრის გამგე — პროფესორი ან დოცენტი — 1, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის გამგე — პროფესორი ან დოცენტი — 1, ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე — პროფესორი ან დოცენტი — 1.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა უნდა შეიტანონ განცხადება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე. განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს კადრების საღრიცხვო პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, დიპლომისა და სამეცნიერო წოდების ატესტატის პირები, სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგ